სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 თებერვალი 1999 №22 (795) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვერაფერ დოლოდაოვილის ფოტო

ეპოქა დასრულდა

„იუვენტუსის“ ახალ თავკაცს კარლო ანჩელოტის ახლახან გადამდგარი მარჩელო ლიპისგან არასახარბიელო მემკვიდრეობა ერგო

ფერარი მაკლარენთან შებმას აპირებს

„ფერარის“ პირველი პილოტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი იტალიური კლანის წევრია

პაველ ბურე: ერთი ნახვით შეყვარება

რუსმა ჰოკეისტმა 22 დღეში ისე მოაწონა თავი ფლორიდას, რომ ახალი, 47-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზეს



14 ტური

ასკ 81:93 სტუ
მაკაბი 81:93 ვითა

გუშინ ვერის ბაღში

იშვიათი დუბლი

დაფიქსირდა: ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით დასრულდა. თავად მატჩები ვერაფერი სანახავი გამოდგა. სტუ-მ საკმაოდ იოლად დაამარცხა არმიელები, მოედანზე ჯერაც წაუგებელმა „ვითამ“ კი შანსი არ დაუტოვა „მაკაბის“.

ამ ფოტოზე ასკ — სტუ-ს მატჩის ის ეპიზოდია აღბეჭდილი, სტუდენტი გიორგი გაგნიძე არმიელთა კალათში მორიგ ბურთს რომ აგდებს.

იხილეთ მერვე გვერდი

21-27 feb. 1999

30th KING CUP



საქართველოს ეროვნული ნაკრები ბოლოხანს ჩვენში ყველაზე პოპულარული საფეხბურთო თემა გახლდათ, მაგრამ არანაკლები პოპულარობით ჩვენი გუნდის ტაილანდში წასვლა-არწასვლის ჯერაც გადაუჭრელი საკითხი დაიკვეხნის.

კარგა ხნის წინათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფიფას ლიცენზირებული მატჩ-აგენტი შეეხმიანა და ბანგკოკში თებერვლის ბოლოს გასამართ მეფის თასის გათამაშებაში მონაწილეობა შესთავაზა. ფიფას აგენტი ვილი კონრაკი ერთობ მოწადინებული კია, მაგრამ, ჩანს, ტაილანდელები ყოფილან ცხრაჭკუისანი და უპირონი.

დღე ერთი იყო და, წლევანდელი ტურნირის გამართვას ხან უნგრეთის, ჩრდილოეთ კორეის და მაროკო — ტუნისს შორის ერთ-ერთის მონაწილეობით აპირებდნენ, ხანაც ჩინეთის, ირანის და რომელიმე ევროპული გუნდის მეშვეობით.

თებერვლის დასაწყისში აზიელებს მადა ისე გაეხსნათ, ტაილანდის ფეხბურთის ფედერაციის გენმდივანი ვორავი მაკუდი ბრაზილიის ფედერაციის პრეზიდენტს, ჟოაო აველანჟის სიძეს რიკარდო ტეიშეირას შეეთამამა, ეგებ ტურნირი თქვენი მონაწილეობით გაგვიძლიეროთო. არც გაემტყუნებათ, საქართველოს, თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატის უსახელო მონაწილეებს, მაროკოს, ტუნისს, ირანს ვიცე-ჩემპიონი რომ ამჯობინეს.

მაგრამ ბრაზილიელებისას. აღარ იკითხავთ? ჯანდაბას, ბანგკოკში ახალგაზრდულ გუნდს გაწვევეთო, დასტური მისწერეს ტაილანდელებს. ესენიც სიხარულისგან ცას ეწივნენ, პირველადაა, სამხრეთამერიკელებმა მეფის თასს პატივი რომ დასდესო და სახელდახელოდ კალენდარიც შეადგინეს — 21 თებერვალს ბანგკოკის სტადიონი „რაჯამანგკალა“ ტაილანდ — ბრაზილიას უმასპინძლებსო.

ფიფას მატჩ-აგენტი ვილი კონრაკი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გუშინდლამდე ამშვიდებადა — მეფის თასის 30-ე გათამაშებაში თქვენი, უნგრეთის და ჩრდილოეთ კორეის მიპატიჟება გადაწყვეტილია და დღე-დღეზე ოფიციალურ მიწვევასაც მიიღებთო. ჰოდა, ჩვენებიც ელიან, ეგ კი არა, ლეგიონერთა კლუბებში ფაქსები აფრინეს, სატაილანდოდ ნაკრებში გიწვევთო და ამ დროს, ვგონებთ, ტაილანდი აინუნშიაც არაა, რას აპირებს საქართველო და რას ითხოვს მისგან. ის ბრაზილიას (მერე რა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს) ელის. ჩვენები კი იმედს ჯერაც არ კარგავენ, ეგებ ის ნანატრი ფაქსი დღეს მივიღოთო.

ვუნდივართ თუ არა ტაილანდელებს?

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს

პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

პირველად იყო გურია

— პირველი თასის მფლობელი „გურია“ იყო — პრეზიდიუმიდან ჩააკერა ლანჩხუთელთა გუნდის უცვლელმა გუნდის უფროსმა და ფედერაციის აღმასკომის წევრმა გულსუნდა დუნდუამ გენსეკის მოხსენებაში ხმამაღალი რეპლიკა.

— საანგარიშო პერიოდში საქართველოს ჩემპიონი ოთხჯერ გახდა თბილისის „დინამო“, ხოლო საქართველოს თასს სამჯერ თბილისის „დინამო“ ფლობდა, ერთხელ კი ბათუმის „დინამო“.

— ამ სიტყვების პასუხად შეახსენა დუნდუამ კვინიკაძეს საქართველოს თასის გათამაშების ჭეშმარიტი ისტორია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შარშანდელი ყრილობიდან სხვა ბევრთან ერთად ეს სცენაც დამამახსოვრდა. არა იმიტომ, რომ გურულთა მესვეურმა უყურადღებობა გამოიჩინა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მისი რეპლიკა სიამაყენარევიც იყო და საყვედურიანიც, „გურია“ რატომ დაგავიწყდათო. მისი ნათქვამი სახარებისეული პერიფრაზით ასე ჟღერდა — პირველად იყო „გურია“, ანუ სად ან ვინ იყო მაშინ, ჩვენ რომ ვიყავითო. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა, ასე ჩამესმა, იქნებ სხვებსაც. მის ნათქვამში იყო რაღაც ამპარტავნული, ისეთი, შემოდგომის აზნაურებს რომ ახასიათებთ.

არა, ნამდვილად ასეა. დღეს „გურია“ მშიერ-მწყურვალია, უპატრონოა, ღარიბ-ღატაკია ფულითაც და ქულითაც. დროთა მღელვარებისგან ისევეა ცხრილის ფსკერზე დაძირული, როგორც მშფოთვარე პალიასტომს ჩაუყლაპია ბევრი.

და მაინც გურულები არსებობენ, ცოცხლობენ, ვიდრე იმედო დუნდუა ცოცხალია, სიკვდილი არც „გურიას“ უწერია — ასეთ აზრს ბევრგან, ბევრისგან მოისმენთ. იმიტომ კი არა, რომ დუნდუა ჯიბესქელია, არამედ იმიტომ, რომ „გურია“ დალხენილია თუ დაღონებული, მისი მეჭირნახულეა.

და იცით, როგორ პასუხობს დღეს ეს კაცი კითხვას, რას შვრება ლანჩხუთის „გურიაო“? ლანჩხუთის ქე რა მოგახსენოთ, ბატონო, და, „გურიამ“, მგონია, თქვენი ჭირი წაიღოო.

ბადრი კვირკელიძის ფოტო

ეს შარშანდელი მატჩის ფოტოა. ამჯერად „გურია“ „მერანს“ არ სწვევია

ახლა გურულებს თითოეული ქულაც საოცნებოდ და სახვეწრად გადაქცევიათ. არადა, დრო იყო, თვით „დინამოს“ არ უდებდნენ ტოლს. ორი სასტარტო ვერცხლი, თასი და პატივი, რაც ჯერ კიდევ საბჭოურ წლებში ერგო იმ პატარა რაიონის გუნდს, რომელმაც საკავშირო უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ორჯერ მოიპოვა. მაგრამ მაშინ „გურია“ საქართველოს ნაკრები იყო, თუნდაც მეორე ნაკრები. დღეს კი ქვეყნის ნაკრები „დინამო“ აღარაა და სხვა გუნდი, მით უმეტეს ჯიბეგაფხეკილი „გურია“ როგორ იქნება.

90-იანების დასაწყისში ლანჩხუთელებს ნამდვილად კარგი გუნდი ჰყავდათ. უკრაინელი სპეციალისტის, მიხეილ ფომენკოს ხელში საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელთა დიდმა ნაწილმა მოიყარა თავი. ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისიდანვე ეს დიდებული მემკვიდრეობა გიგლა იმნაძემ გადაიბარა და ერთხანს, სანამ ქვეყანა მთლად აირეოდა, „გურია“ ქუხდა და გრგვინავდა.

პირველ ჩემპიონატში „გურია“ ჩემპიონობის ღირსიც იყო, მაგრამ მცირედ წაიფორხილა და ერთი ქულით დაწინაურებული „დინამო“ აჩემპიონა. ახლა რაა და მაშინ „დინამოს“ მჯობნი ძნელად ბევრს წარმოედგინა. არც უამისობა იყო და გურულები თასს დასჯერდნენ. ეს იყო და ეს. ლანჩხუთელები ნელ-ნელა ისე კარგავდნენ ძალ-ღონეს, ეს მშვენიერი გუნდი „გურიის“ მთებიდან დაშვებულ ზვავს მიემსგავსა. აგორდა, დაგორდა, იგორა და ბოლოს შავი ზღვის სანაპიროზე გაივაკა. გაივაკა და ნელ-ნელა დნება, წყლად მიდის, ერთ დიდ ზღვას ერევა ის, რაც ათი წლის წინათ ასე გულზვიადი თვითმყოფადი იყო.

ფეხბურთის ნერგმა გურიაში სათანადოდ ვერ იხარა. ამ ხემ, რომელსაც გარშემო დიდი რუდუნებით ეხვეოდნენ, ნიადაგს უფხვიერებდნენ, წყალს უსხამდნენ, ნაყოფი ერთხელაც არ გამოიღო. უფრო სწორად, მგონი, კიდეც მოისხა, მაგრამ უგემური.

რა მოხდა, რა ამბავია. ნიადაგი გამოეცალა? ეგებ, წყალი შემოაკლდა და გამოიფიტა. ეგებ, შეშინება უნდა, არა, ცულს ნუ შემოკვრავთ, „გურია“ ნებას მივუშვათ, მეორე ჯგუფში დაქვეითდეს, ეგებ პატრონი მაშინ მაინც გამოუჩნდეს. მაგრამ ასე, რომ მთლად წაიქცეს, გახმეს და მოკვდეს? საძნელო ცდაა. ეგებ, ეს ნერგი ხეჭეჭურისაა, თორმეტ წელიწადში ერთხელ მსხმოიარე. ეგებ, რაც მოსავალი იყო, უკვე მოწეულია. მაგრამ კიდევ ხომ მოისხამს, მთავარი ეგაა. უიმედოდ „გურია“ არავის წარმოუდგენია, უამიმედოდ არც ვინმე უპატრონებს.

ეს ლირიკული გადახვევა, ეგებ, მომეტებულიც გამოვიდა, მაგრამ „გურია“ ის სიხარული იყო, რომელსაც გულცივად ვერ გაიხსენებ.

უამისოდაც, უძველამბოდ წლევანდელი „გურია“, აბა, რა იყო. შარშან გავარდნას ძლივს, სასწაულით თუ ძალისძალად გადარჩენილი წლეულსაც მისავათებულია. არადა, თითქოს, ჭრილობებს დროზე ეწამლაო, „გურიამ“ მეათე ჩემპიონატი რიხით დაიწყო — ბოლნისიდან შინ ქულამონადირებული დაბრუნდა და თსუ-საც არაფერი გაატანა. ამას ფოთში 0:3 წაგება მოჰყვა. „კოლხეთს“ მაშინ ვინ ეხუმრებოდა, ვარსკვლავებს არც „გურია“ ეთამაშებოდა და ასეთი შედეგი ბევრს არ გაკვირვებია. მაგრამ თავისზე ცუდ დღეში მყოფ „ოდიშთან“ საშინაო მარცხი რაღა იყო? ამას ბათუმში 0:4 დაერთო და პირველი ზარიც აქ გაისმა, გურულთა მცველმა ივანე ბუხრიკიძემ პირველი ნახევრის მერე თამაშის გაგრძელება არ ისურვა. „გურიამ“ მატჩი კაცნაკლულად ჩაამთავრა. რატომ მოხდა ასე? ალბათ, იმიტომაც, რომ ფეხბურთელებმა დაპირებულს ერთხანს უცადეს, მერე კი გული აიცრუეს გუნდზეც და თამაშზეც.

და მაინც, „გურიამ“ ერთხელაც გაიბრძოლა, შინ 2:0 „ვიტ ჯორჯიას“ სძლია, მაგრამ ამას ოთხმატჩიანი წაგებათა სერია მოჰყვა. „იბერიასთან“, „ლოკომოტივთან“, „ტორპედოსთან“ და „არსენალთან“ საერთო ანგარიშით 2:16 დამარცხებული გუნდის მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე უმუშევარი დარჩა.

თითქოს ხელს ეს უშლიდაო, „გურიამ“ კარგსტარტაღებული „დილა“ 4:2 დაამარცხა — ითქვა, მსაჯების ხელშეწყობითაცო. ღმერთმა იცის, ეს კი ფაქტია გუნდის ახალი თავკაცის ავთანდილ ნარიაშვილის ხელშიც ზედიზედ ოთხი წაგება მიითვალეს გურულებმა. წყალტუბოსა და ავჭალაში, „სამგურალთან“ და „მერანთან“ შინ კი „დინამოსთან“ და „გორდასთან“ საერთო ანგარიში 4:10 წინაზე ოდნავ უკეთესი კი იყო, მაგრამ არც ერთი ქულა? განსაკუთრებით „მერანთან“ და „გორდასთან“ შეხვედრათა ამბებია აღსანიშნი. თუმცა, რაღა შეხვედრათა. „გურია“ ავჭალელებს არც შეხვედრია, თბილისში არც ჩამოსულა. „სინათლეს“ ერთადერთი გურული რუსთაველი ნახევარმცველი მამუკა მელაძე ეწვია და მარტოკა, ცხადია, ვერ ითამაშებდა.

ჩემპიონატის დებულებით, „გურიას“ გათამაშებიდან მოხსნა ემუქრებოდა, მაგრამ... ახალარჩეულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აქ დაუშვა პირველი და ჯერჯერობით ყველაზე დიდი შეცდომა — გურულებს მხოლოდ 0:3 წაგება ჩაუთვალა. და გახსოვთ, ბოლო ტურში „გურიამ“ რა შეიმთხვია? „გორდას“ სამასპინძლოდ 9 კაცი ძლივს დაახვედრა და 3:4 დამარცხდა. თამაში დაგვიანებით დაიწყო, დებულება ერთხელაც დაირღვა. ერთი სიტყვით, გარიგება შედგა, „გორდა“ უეჭველად მოგების გარანტიით დაყაბულდა თამაშს...

სხვა რაღა ვთქვათ. გურულებს საქმე წასვლიათ. ჩემპიონატს გააგრძელებენ თუ არა, ახლაც უცნობია. ესღა დაგვრჩენია, ვისურვოთ, ფედერაციის ყრილობაზე იმედო დუნდუას გასახსენებელი სხვაც ჰქონოდეს და არა მხოლდ ეს: პირველად იყო „გურია“!

ვახტანგ გზიძაძე

გურიის შედეგები

1	სიონი	2:2	სტუმრად
2	თსუ	2:0	შინ
3	კოლხეთი	0:3	სტუმრად
4	ოდიში	1:2	შინ
5	ბათუმი	0:4	სტუმრად
6	ვიტ ჯორჯია	2:0	შინ
7	იბერია	1:4	სტუმრად
8	ლოკომოტივი	0:4	შინ
9	ტორპედო	0:3	სტუმრად
10	არსენალი	1:5	სტუმრად
11	დილა	4:2	შინ
12	სამგურალი	1:2	სტუმრად
13	დინამო	0:1	შინ
14	მერანი	0:3	სტუმრად
15	გორდა	3:4	შინ

	თ	გ	ყ	წ
დავით მახარაძე	14	9	1	0
რაკლი ფაცერია	14	0	0	0
ზაზა კვეკვესკირი	13	0	2	0
მამუკა მელაძე	13	4	2	0
ოთარ თბილაშვილი	11	0	0	0
მერაბ კუკულაძე	11	0	0	0
თემურ ლორია	11	0	1	0
მამუკა ბულუტია	10	0	1	1
გია გორგაძე	10	1	0	0
გია გოგუა	10	-24	1	0
ზაზა ინაშვილი	10	1	2	0
ბაადურ კაკჩია	10	0	1	0
ივანე ბუხრიკიძე	7	0	1	0
ალექსანდრე განეი	7	2	0	0
ანზორ კვირკელაძე	7	0	0	0
ვასილ ჩიქვილაძე	7	0	0	0
თენგიზ პატარაია	6	0	0	0
ოთარ ვარდანიძე	5	-12	0	0
დავით ჩიგოშვილი	5	0	0	0
რატი ოობიძე	4	0	0	0

თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი



15 ტური

დინამო	15	12	3	0	50:8	39
ტორპედო	15	11	2	2	42:14	35
კოლხეთი	15	8	3	4	34:25	27
ლოკომოტივი	15	6	9	0	18:6	27
ბათუმი	15	6	6	3	23:14	24
დილა	15	6	4	5	21:21	22
იბერია	15	5	3	7	26:31	18
არსენალი	15	4	6	5	19:25	18
მერანი	15	3	8	4	13:16	17
ოდიში	15	5	1	9	12:25	16
გორდა	15	3	7	5	12:18	16
სიონი	15	4	3	8	15:32	15
ვიტ ჯორჯია	15	5	2	8	15:17	14
სამგურალი	15	4	2	9	13:31	14
თსუ	15	3	4	8	14:22	13
გურია	15	3	1	11	17:39	10

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ქაიფია ამად ყაფეი

გურია: მითხარი, ვიტია ექიმო, რამდენ ხანს ვიცოცხლებ?

ვიტ ჯორჯია: შენს განკარგულებაში მაქსიმუმ ოთხი თვეა.

გურია: ეჰ, დროა, სუფრა გავშალო.

ვიტ ჯორჯია: ყველანი აქ არიან.

გურია: ერთი სურვილი ამისრულეთ.

დინამო: გვთხოვე, რაც გინდა.

გურია: წარმოიდგინეთ ჩემი სამგლოვიარო პროცესიაა...

გორდა: ღმერთო კი მომკალი!

გურია: მაინტერესებს, ვინ როგორ სიტყვას იტყვის.

გორდა: ის იყო პირველი, პირველთა შორის...

გურია: არ გვინდა ეს ქარაგმები!

ტორპედო: ეჰ, კაი ყაზახი წაიქცა. ისე ცოტა ტრაბახი უყვარდა, აღრე.

დინამო: ჰქონდა კიდეც სატრაბახო.

ტორპედო: მოიცა ერთი! რამდენი ხანიც მაგი „ა“ კლასში იყო, იმდენ ხანს ჩაყვინთული ვძლებდი რიონში.

გორდა: რა დროს ხუმრობაა?

სამგურალი: ნახე, სტუდენტი როგორ ტირის?

ლოკომოტივი: მაგის საქმეც შავადაა.

სამგურალი: ახლა თუ დაიწყო მოთქმა?

თსუ: მშვიდობით, ჩემო ორი წლის გაცნობილო ძმაო! უკან აღარ მოიხედო ძმაო!

გორდა: გასკდა გული, გასკდა!

თსუ: დალოცვილი დატოვე პირველი ჯგუფი ძმაო! მომიკითხე ჩემი შევარდენივით მამობილი, უთხარი, უჭირს უშენოდ-თქო, ძმაო!

მერანი: არიქა, ზუგდიდელია ცუდად!

ვიტ ჯორჯია: აგერაა კაპლი და მიეცით.

ტორპედო: შენ რაღა გატირებს?

დილა: ყველა ტირის და ...

დინამო: არ დაგვწყვიტა, ტო!

კოლხეთი: დეპეშაა ფიფადან, დეპეშა!

თსუ: სუყველამ გაიგო, ძმაო!

კოლხეთი: ვინ იცის ინგლისური?

სიონი: ვიტიას მიეცით.

ვიტ ჯორჯია: ვაი, ვაი, თუ, უკაცრავად, უი, უი!

ბათუმი: ძალიან მაგარი ტექსტია...

ლოკომოტივი: დაუკარით რამე, თორემ დაწყდა ხალხი ტირილით!

მერანი: დამკვრელები იამანიძის ქუჩიდან არიან?

დინამო: არა, ჭავჭავაძის გამზირიდან.

ვიტ ჯორჯია: რაო, რას მღერიან?

ოდიში: რაო და...

ჩვენ რად გვინდა სიმდიდრე და ქონება, თუ „გურია“ ჯგუფში არ გვეყოლება. უგურულოდ აბა, რა გვაბადია, გვენატრები, გვენატრები ძალიან...

კოლხეთი: დეპეშა, დეპეშა!

სიონი: ვისგან?

კოლხეთი: პრეზიდენტისგან.

სიონი: რას წერს?

კოლხეთი: მშვიდობით, ჩემო ძმისშვილო. როგორც იტყვიან, ვწუხვარ, მაგრამ თავი ხელში უნდა ავიყვანოთ, რომ იტყვიან.

დინამო: ნუღარ ვაწვალებთ ცხონებულს.

ვიტ ჯორჯია: დროა, დავკრძალოთ.

გორდა: ერთი წუთით! მიცვალებულს ცალ-ცალი ბუცი უნდა გაეხადო და ერთნაირები ჩავაცვა...

გურია: მიშველეთ!

გორდა: ძილი დაგიფრთხე, ძმაო?

გურია: ვაიმე, სიზმარი ყოფილა.

გორდა: ფერი არა გაქვს...

გურია: დამესიზმრა, ვითომ მმარხავდნენ.

გორდა: შაირი ხომ არ ნახე?

გურია: ჰო, ჰო არ მომკლა ამ შაირებმა?

გორდა: შაირია ამად კარგიო, დიდ შოთას უთქვამს.

გურია: რა აქვს კარგი?

გორდა: ვიღაცას მოხვდება გულზე და ეგებ გვეშველოს რამე.

გურია: ღმერთმა ქნას, გვეშველოს...

ლანჩხუთის «გურია». XVI ადგილი

ფედერაცია გურულებს დათვურ სამსახურს უწევს

— ძნელი გადაწყვეტილება მიიღეთ, იქნებ, აგვიხსნათ, რისი ან ვისი იმედით?

— იმედი რომ არ მოეცათ, აბა, ნორმალურ კაცად ვთვლი თავს და ამ საქმეს ხელს როგორ მოვკიდებდი. ჯანელიძის წასვლის შემდეგ პირადად რაიონის გამგებელმა მიხეილ გვარჯალაძემ დამიბარა. გუნდი ჩაიბარე და მხარში ამოგიდგებით, ფულიც გაჩნდება და სხვა საშუალებებიცო. ფეხბურთელებმაც შემაგულიანეს, ფინანსები თუ იქნება, ჩვენც აქა ვართო. „დილასთან“ სათამაშოდ ნორმალურად მოვემზადეთ.

— თუ არ ვცდები, ეს თქვენი „სადებიუტო“ მატჩი იყო...

— თუ გნებავთ, ასე ჩათვალეთ. ბიჭები დარაზმულები გავიდნენ მოედანზე, თავი დასდეს და ალალად გაიმარჯვეს. ამ მოგებისათვის ფეხბურთელებს პრემიის სახით 200-200 ლარი დაურიგდათ.

— მაშინ ერთსაც ხომ არ დაგვიდასტურებდით. თქვენივე მოთამაშეებისგან შევიტყვეთ, ეს პრემიალური „გურიის“ კი არა, „ლოკომოტივის“ მესვეურებმა იკისრეს...

— არ გეკამათებით. ასე იყო...

— ხელფასები კი არ გაცემულა?

— არა, და მომდევნო თამაშზე ფეხბურთელები დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დავითანხმეთ. წყალტუბოში ისევ არეულნი ჩავედით, თორემ „სამგურალთან“ არ წავაგებდით.

— კი, მაგრამ, ამის შემდეგ „დინამოსთან“ რომ ბოლომდე იბრძოლეთ? მატჩის თვითმხილველთა აზრით, ჩემპიონთან „გურიამ“ საუკეთესოდ ითამაშა, ყოველ შემთხვევაში, წასაგები არაფერი ჰქონდაო.

— „დინამოსთან“ ბიჭებმა მავანთ კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს, რომ თამაში სხვაზე ნაკლებად როდი შეუძლიათ. თუ დაიჯერებთ, მცირეოდენი ყურადღება მაინც რომ ჰქონოდა, „გურია“ ასეთ ცუდ დღეში არ აღმოჩნდებოდა.

— „მერანთან“ სათამაშოდ რა ტომ არ ჩახვედით?

— სხვას ვინ ჩივის, თბილისში გასამგზავრებლად საჭირო ფულიც კი ვერ მოიძებნა. გამგეობიდან თავი არავის შეუწუხებია. პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, ხელმძღვანელობას ჩვენი წაუსვლელობა უფრო აწყობდა. მერე, წრის ბოლო მატჩში „ვორდასთან“ რაც მოხდა, ყველამ იცის. ცხრა კაცით ვითამაშეთ, თუ ამას თამაში ჰქვიოდა.

— როგორ ფიქრობთ, სფფ ცოტა ლმობიერი ხომ არ აღმოჩნდა „გურიას“ მიმართ, ჩემპიონატის დებულებით გუნდი უმკაცრეს სანქციებს იმსახურებდა?

— მე კარგად მესმის ფედერაციისა. რაც არ უნდა იყოს, „გურია“ დიდი ტრადიციების გუნდია, ქართული საფეხბურთო რუქიდან მისი გაქრობა კარგს არაფერს მოასწავებს. ოღონდ ლოლიავსაც აქვს საზღვარი. „გურიაზე“ სხვებზე მეტად შემტკივა გული, მაგრამ სიმართდე უნდა ითქვას, დღესდღეობით „გურია“ დათვურ სამსახურს უწევს ქართულ ფეხბურთს, ისევე როგორც ფედერაცია - „გურიას“.

— პირველ ჯგუფში გუნდების შემცირებაზე მიდის საუბარი, ჩემპიონატის ახლებულად ჩატარებაზე?

— გუნდების შემცირებით არაფერი დაშავდება. პირიქით, ეს საერთო საქმეს უფრო წაადგება. ის საგარანტით 200 ათასი ლარი თუ დოლარი, კლუბებს რომ უნდა ჰქონდეთ ანგარიშზე, კარგი მოფიქრებულია. მხარს ვუჭერ. ითამაშოს იმან, ვისაც ფული აქვს. ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელს წვრთნისა და თამაშის გარდა, სხვა სადარდებელი აღარ ექნება. ნახავთ, ჩემპიონატის დონეც აიწევს და ბევრი კარგი ფეხბურთელიც გამოჩნდება.

— პირველ წრეში ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებად ვის დაასახელებდით?

— დინამოელ გიორგი კიკნაძეს. ძლიერი და, რაც მთავარია, სტაბილური მოთამაშეა. უფრო ახალგაზრდებიდან ტორპედოელ გიორგი მეგრელაძეს გამოვყოფდი. მომატება და დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია.

ავთანდილ ნარიაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

— თქვენი პროგნოზი გვაინტერესებს, გახდება „დინამო“ მეათედ ჩემპიონი?

— ძნელი სათქმელია. „ტორპედო“ ისე გაძლიერდა, თავისუფლად გაუწევს კონკურენციას. ჩემპიონი ამ ორში უნდა ვეძებოთ. „ლოკომოტივიც“ ანგარიშგასაწევი ძალაა, მაგრამ დაწინაურებულებს ქულებით ბევრად ჩამორჩება და მესამეზე მაღლა, ალბათ, ვერ აიწევს, თუმც ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია.

— „გურიას“ დავუბრუნდეთ. სადაცაა მეორე წრე დაიწყება. გუნდი კი ჯერაც არ შეკრებილა?

— არ შეკრებილა და, მგონი, ვერც შეიკრიბება. გუნდს პატრონი უნდა, ჩვენ კი ჯერ - ჯერობით ასეთი არა გვყავს.

— ვთქვათ და, ფინანსები გაჩნდა?

— ჩემპიონატის განახლებამდე ორი კვირაღა დარჩა. ასეთ მოკლე დროში როგორ უნდა მოვემზადოთ. ისიც არ ვიცი, ვინ დარჩება გუნდში. ღმერთმა ქნას და ფინანსების საკითხი მოგვარდეს, მაგრამ „გურიას“ მაინც ძალიან გაუჭირდება. წვრთნის პირობები არ არის, გრიგოლეთის ბაზა გაპარტახებულია, და სტადიონიც გვენგრევა მოუვლელობით.

— ამას წინათ ხმა გავარდა, გრიგოლეთის ბაზაზე შეფობას რკინიგზის დეპარტამენტი იღებს, „გურიასაც“ დაეხმარება ფინანსურადო?

— იყო ასეთი შეთანხმება, რაც ჩვენ გუნდს უთუოდ წაადგებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია გარკვეული.

— თბილისში მინი ფეხბურთის ტურნირზე თამაშს აპირებდით. აქ რაღამ შეგიშალათ ხელი?

— მართალია, ვაპირებდით. ფედერაციიდან ბადრი ქარქაშაძე ლამის ყოველდღე გვირეკავდა, ტურნირს ნუ დააკლდებითო. ჩვენც ხუთი კაცი ძლივს შევკრიბეთ, ადგილობრივები, რა თქმა უნდა. სამი ბავშვი დავიმატეთ და ცოტა დარბაზში ვივარჯიშეთ. მაგრამ თბილისში ველარ წავედით. ისეთ თანხას გვაჩეჩებდნენ ხელში, გაგეცინებათ, სამგზავროდ არ იკმარებდა.

იუზა კაციტაძე

ირაკლი ფაცურია: მონდომება იყოს და შეუძლებელი არაფერია

— ირაკლი შენი თამაში სხვა გუნდებშიც გვინახავს. მოდი, კიდევ ერთხელ გააცანი თავი მკითხველს...

— ფეხბურთი ლანჩხუთში ვისწავლე. ბავშვობაში ვალტერ იმნაიშვილი და გორა ხიტირი იყვნენ ჩემი მწვრთნელები. 17 წლისას დებიუტიც „გურიაში“ მქონდა. „მრეტებში“, „გორდაში“ მითამაშია. შარშან ამ დროს ისევ „გურიაში“ დავბრუნდი.

— დღეს რომ „გურიაა“, ასეთ გუნდში ყოფნა რა სიკეთის მომტანია, რაც გისწავლია, ისიც დაგავიწყდება?

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ. ლანჩხუთელი ვარ, გუნდს გაჭირვებაში ვერ მივატოვებ, თორემ აქ თამაში ნამდვილად არ ღირს და უაზრობაცაა. სამარცხვინო რამ გვჭირს. ბოლო ადგილზე ვართ. ასეთ ყოფას, ლანჩხუთს სულ რომ არ ჰყავდეს გუნდი ის სჯობია. არადა, დარწმუნებული ვარ, რაიონის ხელმძღვანელობის მხრიდან ცოტაოდენი დახმარება რომ ყოფილიყო, პირველ წრეს ხუთეულში თუ არა, ათეულში მაინც დავასრულებდით. შემადგენლობით სხვა გუნდებს დიდად არ ჩამოვრჩებით. ბიჭებმა თამაში იციან, ოღონდ თამაშს გული ხომ უნდა დაუდო. კარგი, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ გაჩუმდები, მოითმენ. მაგრამ როდემდე? ამდენი ტყეილი, ცრუ დაპირებები?! მაშინ პირდაპირ ითქვას, რომ ლანჩხუთში გუნდის შენახვა არ შეუძლიათ და ყველა დაისვენებს.

ფაცურია ლოკომოტიველ ერაძეს გზას უღობავს

ბადრი კეთილაძის ფოტო

— არადა, ერთ დროს გურიაში „ბავარიის“ ჩამოყვანას აპირებდნენ სიმღერ-სიმღერ...

— „ბავარია“ რა სახსენებელია. ჩვენსავე რაიონში სოფლის გუნდებს თამაშის მეტი სტიმული აქვთ. ამათ შეხვედრებს მაყურებელი მაინც ჰყავს, ჩვენ კი ცარიელი ტრიბუნების წინ გვიწევს თამაში.

საქმეს რომ სჭირდება, თორემ აუტსაიდერ „გურიაში“ პირველ წრეში ვარსკვლავები არავის უწყვეტია და, აქედან გამომდინარე, საუკეთესო მოთამაშის დასახელება გაუმართლებლადაც კი მიგვაჩნია. ვიცით, აქ ბევრი შემოგვედავება, რას ერჩით გურულთა გოლეადორ დავით მახარაძეს, გუნდის მიერ 17 გატანილიდან ნახევარზე მეტი ხომ მიითვალა. სადავო არაფერია. ოღონდ მაშინ ისიც გავიხსენოთ, ამათგან ბოლო სამი რა ვითარებაშიც გაიტანა. ვფიქრობთ, „ვორდასთან“ დადგმულ, წინასწარ ცნობილი სცენარით განვლილ თამაშში „ჰეთ-თრიქს“ ფეხბურთელის ავტორიტეტისთვის არაფერი შეუმატებია. პირიქით თუ იყო. მოკლედ, მხოლოდ ამ შემთხვევის გამო ამჯერად მახარაძეს მოვუბოდიშებთ და, რადგანაც საქმეს სჭირდება, გურულთა მარცხენა მცველ ირაკლი ფაცურიაზე შევაჩერებთ ჩვენს არჩევანს. გუნდის საერთო სუსტი გამოსვლის ფონზე ამ 21 წლის ბიჭმა წრის ყველა შეხვედრაში მონდომებით, ერთობ სტაბილურად ითამაშა.

— „გურიაში“ პერსპექტივა არ ჩანს, მაგრამ შენ ხომ აწი უნდა ითამაშო, თუ...

— თამაშისათვის თავის დანებებას ნამდვილად არ ვაპირებ. გამოსავალი ერთია, სხვა გუნდი უნდა მოვძებნო თუ, რა თქმა უნდა, ლანჩხუთში საქმე არ გამოსწორდა.

— სადაცაა მეორე წრე დაიწყება, „გურია“ კი ჯერაც არ შეკრებილა. როგორ ფიქრობ, ფინანსები რომ გამოჩნდეს, გუნდს ეშველება, ძალიან ხართ ჩამორჩენილნი?

— დაკარგულის ანაზღაურება ყველა შემთხვევაში გაჭირდება, მაგრამ მონდომება იყოს და შეუძლებელი არაფერია. ეს პირველი წრის რამდენიმე თამაშშიც დავამტკიცეთ. „დილასთან“ თავდაუზოგავად, ბოლომდე ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ. ამ დროისთვის გუნდში ჯონი ჯანელიძე აღარ იყო. მის ხელში ამას ვერ გავაკეთებდით. „დინამოსთანაც“ გამოგვივიდა თამაში. წაგებას არ ვიშსახურებდით. აქ უფრო უვარჯიშებლობამ იჩინა თავი, ბოლოსკენ ფიზიკურად აღარ შეგვეძლო.

— „გურიას“ დაცვა ყველაზე სუსტი იყო პირველ წრეში?

— ამაში გასაკვირი არაფერია. ხშირად მატჩის დღეს ვიკრიბებოდით, ბევრჯერ პიდაპირ ავტობუსიდან გავსულვართ სათამაშოდ. ორჯერ ოცდაცხრამეტი რატომ არ გავუშვით, ესეც საკითხავია.

— მეტწილად დაცვაში გიწევს თამაში. მეტოქე გუნდების ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტ უსიამოვნებას ვინ გაყენებდა?

— დათო მუჯირს და ჯუბა ჩუხუას დავასახელებდი.

— ირაკლი, მართალია გუნდი სავარჯიშოდ არ შეკრებილა, მაგრამ შენც უქმად კარგავ დროს?

— ასეთი რამ ჩემში არ არის. ინდივიდუალურად ვემზადები, ეგაა ბოლო კვირაში შემეშალა ხელი.

— ისეთი რა მოხდა?

— „ცოლი შევირთე. ლანჩხუთელი გოგოა, ნათია ჩხაიძე. 6 თებერვალს ქორწილი გვქონდა.

— მისალოცი ამბავია!

— მადლობელი ვარ.

იუზა კაციტაძე

თხა თხაზე ნაკლებია... დინამო ბელგიაში წავიდა

საქართველოს უცვლელ ჩემპიონს მეტად გაუჭირდა, გაუჭირდა ისე, როგორც არასდროს. თბილისის „დინამო“, ისევე როგორც ადრე, ახლაც დაიცალა ფეხბურთელებისგან. გუნდი ბევრმა დატოვა. უმეტესობამ უკეთესი მომავლის იმედით ბელგიას მიაშურა.

და დაიწყო მურთაზ ხურცილავამ ფიქრი თავიდან. ფიქრი იმ-აზე, თუ როგორ, რომელი ფეხბურთელებით შეუნარჩუნოს გუნდს პირველობა.

ამ ჩემპიონატში „დინამოს“ კონკურენტებიც ჩასაფრებიან — „ტორპედო“, „კოლხეთი“, „ლოკომოტივი“. ყველანი ჩემპიონთა ოდნავ წაფორხილებას ელიან. ალბათ, მომენტსაც აღარ გაუშვებენ ხელიდან. მაგრამ „დინამო“ რის „დინამო“ იქნება, თავის შანსი ბოლომდე არ გამოიყენოს. ჩემპიონები ბევრჯერ ყოფილან საფრთხის წინაშე, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებულები დარჩენილან. ისე, მაშინ სხვა დრო იყო, წლები, როცა სტაბილურ „დინამოს“ ერთწლიანი გუნდები ექიშპებოდნენ. ახლა ბევრი რამ შეიცვალა. ფეხბურთის ზოგიერთი მეურვე მიხვდა, რომ კარგი გუნდის შექმნას ერთი წელი არ ჰყოფნის.

„დინამო“ კი ისევ დგას და მეტოქეებთან ბრძოლის განახლებამდე დღეს ფრანკფურტის გავლით ბელგიის ქალაქ ანტვერპენიდან 20 კილომეტრის მოშორებით ორკვირიან შეკრებაზე მიემგზავრება. იქ, სადაც ჩემპიონები შარშან ამ დროსაც იყვნენ და შინ კმაყოფილები დაბრუნდნენ.

მურთაზ ხურცილავამ ამჯერად 22 ფეხბურთელი ჩამოწერა:

დავით გვარამაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, ზურაბ ხიზანეიშვილი, თორნიკე რუხაძე, ლევან მიქაძე, არჩილ სახვაძე, მამუკა მაჭავარიანი, ვალერი აბრამიძე, გივი კვარაცხელია, შოთა ჩომახიძე, ვალტერ გუჩუა, პაატა ჯინჭარაძე, მიხეილ ასათიანი, ამირან მუჯირი, ედიკ საჯაია, თემურ ტუღუში, მიხეილ აშვეთია, კობა წიტაიშვილი, ლევან ქებაძე, რატი ალექსიძე, გიორგი შენგელია.

ანტვერპენში მწვრთნელები სწორედ მათ მოამზადებენ. „დინამოს“ ბელგიაში ოთხი ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი, რომელთაგან პირველს 16-ში, ქართველებით სავსე „რასინგ მეხელენთან“ ითამაშებენ.

ჩემპიონთა შემადგენლობაში ბევრი ცვლილება რომ მოხდა, ამაში დარწმუნდებოდით. წასულთა გვარებს აღარ ჩამოვთვლით, მხოლოდ ზოგიერთი ახალწვეულისას გეტყვით. „დინამოში“ თავისივე საბაზო გუნდიდან ოთხი ფეხბურთელი ივარჯიშებს; ჩემპიონებს დაემატნენ ტრავმამოშუშებულნი — მაჭავარიანი და ასათიანი; „ტორპედოდან“ თბილისში გადმობარგდნენ — ვაშაკიძე, ჯინჭარაძე და ქებაძე; სამტრედიიდან — ჩომახიძე. ოსუ-დან დაბრუნდნენ წიტაიშვილი და ბათიაშვილი. გუნდს ბელგიაში ასევე გაჰყვებიან ბათუმელები — თემურ ტუღუში და ამირან მუჯირი, რომელიც ბოლო ხანს ისრაელში თამაშობდა და სამშობლოში დაბრუნებულმა ჩემპიონებთან თამაში არჩია.

ამდენ ფეხბურთელს ხომ შეთამაშება უნდა? ხურცილავასა და მის თანაშემწეებს სწორედ ამიტომ სჭირდებათ ბელგიური შეკრება. „დინამო“ თბილისს 24 თებერვალს დაბრუნდება, 28-ში კი ჩემპიონატის მეორე წრის პირველი მატჩის სათამაშოდ ავლაბარს ესტუმრება.

ერთი სიტყვით, „დინამოს“ კონკურენტებმა უცხოეთით რომ გული იჯერეს, ზოგი კი ახლაც იქ არის, ისინი ახლა იწყებენ.

ძოგბა ინასარიძე

ალექსიძე და ტუღუში (№10) აწი თანაგუნდელები იქნებიან

გადრი კეთილაძის ფოტო

... უვაკვე მოსწრენი აქვეა პენინელიც

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის ნაყოფიერად მოსამზადებლად შეძლებულმა გუნდებმა უცხოური შეკრებები არჩიეს. „ტორპედო“ და „არსენალი“ უკვე დაბრუნდნენ, ისინი შესაბამისად ანთალიაში და ბულგარეთში იყვნენ. ბულგარეთშივე აბარგდა ფოთის „კოლხეთი“. დღეს უცვლელი ჩემპიონი „დინამო“ ბელგიას გაემგზავრა. საქართველოს თასისა და სუპერთასის მფლობელი ბათუმელები კი რახანია, თურქეთში იმყოფებიან შეკრებაზე.

„ბათუმში“ მომხდარ ცვლილებებზე „სარბიელი“ ხშირად იტყობინებოდა. გუნდის პრეზიდენტმა თემურ ბეჟანიძემ ადრე გვაცნობა, აფრიკელი ზანგი ჩამოგვყავს, ივი ნიგერიის ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის ფეხბურთელიაო. ამის შემდეგ უჩ უვაკვეს ჩამოსვლას არა და არ დაადგა საშველი და აჰა, როგორც იქნა, აფრიკელი ყმაწვილი ზღვისპირეთს ესტუმრა. უვაკვე აჭარაში 5 თებერვალს ჩავიდა, გუნდი კი უკვე შეკრებაზე წასული დახვდა. ნიგერიელი ფეხბურთელი ახლა ბათუმშია და იქაურ „კოლეჯთან“ ერთად ვარჯიშობს. როგორც შევიტყვეთ, ივი ძალიან მონდომებულია და ურიგოდაც არ გამოიყურება. უვაკვეს, თურქეთში გუნდს რომ შეერთებოდა, ვიზის პრობლემა ჰქონია, ამიტომაცაა, რომ ბათუმელთა მწვრთნელ შოთა ჭეიშვილს ივი საქმეში ჯერ არ უნახავს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოერგება ფეხბურთელი გუნდს.

წასვლით „ბათუმიდან“ აქამდე მხოლოდ დავით ჭიჭვეიშვილი წავიდა. მოგეხსენებათ, ივი ოლეგ რომანცევმა „სპარტაკში“ მიიწვია. ჭიჭვეიშვილს კი სულ ახლახანს ერთიც მიემატა — თემურ ტუღუში პირველ წრეში პაატა მაჭუტაძესთან ერთად გუნდში მრისხანე ტანდემს ქმნიდა. დღეს ტუღუში „ბათუმში“ არ ირიცხება, მას გუნდიდან გათავისუფლების ფურცელი უკვე მისცეს. ბათუმელმა თავდამსხმელმა ჩემპიონ „დინამოს“ მიაშურა და მას ბელგიაშიც გაჰყვა შეკრებაზე. მათ გარდა გუნდიდან არავინ წასულა.

„ბათუმი“ მეზობელ თურქეთშია შეკრებაზე და საკონტროლო თამაშები რომ არ გამართოს, როგორ იქნება. ზღვისპირელებს ოთხი შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. სამი მატჩის თარიღი და მეტოქეები ცნობილია, აი, მეოთხე სპარინგ-პარტნიორი ჯერ არ შეუგულებიათ.

ბათუმელები საკონტროლო თამაშებს 11, 13 და 15 თებერვალს ჩაატარებენ, ისინი ჩვენთვის ნაცნობ „ტრაბზონსფორს“, თურქულ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად მებრძოლ „რიზესფორს“ და ასევე პირველლიგელ „ზოფასფორს“ დაუპირისპირდებიან.

როგორც შევიტყვეთ, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში სეზონი ახლახან განახლდა, ზემოჩამოთვლილი გუნდები ამხანაგურებზე უარს, ალბათ, არ იტყვიან, ყველაფერი წინასწარ არის შეთანხმებული.

დაბოლოს, „ბათუმში“ კიდევ ერთი უცხოელი გამოჩნდა. ივი ახალგაზრდა იტალიელია, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ჩაბარეს. მისი გვარი არ გაგვიმხილეს, მაგრამ სახელი გვითხრეს — მარკო მიქელე. სხვათა შორის, ივი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის სიძე გახლავთ.

გიორგი ვაშაკიძე

... ბერიას შეუბერია

იალტაში მყოფმა სამტრედიის „იბერიამ“ თავისი მესამე შეხვედრა გამართა. ამჯერად იმერლების მეტოქე კიროვაგრადის „ზორკა ნიბასი“ (რუსულად „ზვეზდა“) იყო. ფრუიძის შეგირდებმა ძლიერად ჩაატარეს მატჩი და მეტოქეს 3:1 მოუგეს. სამტრედიელთა თავკაცის თქმით, გუნდმა საკმაოდ გააზრებული თამაში აჩვენა და უპრობლემოდ დაამარცხა მოწინააღმდეგე. გოლები იბერიელთაგან ორჯერ ვასილ გიგიაძეს და ერთხელაც ქველაძეს გაუტანიათ.

ამ მატჩში იმერლებს ასეთი შემადგენლობით უთამაშიათ: ვარდანიძე, ქველაძე, ნიკოლეიშვილი, მუმლაძე, თოდუა, ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, ნ. გიორგაძე, ვარდიაშვილი, ივეჩიანი. შეცვლაზე ასათიანი და მესიანჯკო შესულან.

სოსო ფრუიძის განცხადებით, სამტრედიელებს კიდევ ორი თამაში დარჩათ იურკოვსკის სახელობის ტურნირზე: მათგან ერთი ტურნირის ლიდერ სიმფეროპოლის „დანიკასთან“ და მეორეც უკრაინის მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდთან.

აკამდე სამტრედიის „იბერიამ“ ორი მატჩი ითამაშა. მათ შესახებ „სარბიელმა“ უკვე გაუწყათ — ივანო ფრანკოვსკის „პრიკარპატიამ“ იმერლებს 2:1 მოუგო, ვინიცის „ნივასთან“ კი 0:0-ს დასჯერდნენ ჩვენებურები.

სოსო ფრუიძემ ისიც გვითხრა, რომ „იბერიის“ ძირითადი შემადგენლობა შინ 13 თებერვლისთვის დაბრუნდება, სამტრედიელთა სათადარიგო შემადგენლობამ კი იალტის მეორე ტურნირში შეიძლება მიიღოს მონაწილეობა.

კონსტანტინე გოგიშვილი

არმიელები მზად არიან

თბილისის „არსენალმა“ პირველი ჯგუფის გუნდებიდან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მეორე წრისთვის მზადება. გუნდი 15 დეკემბერს შეიკრიბა და ახალ წლამდე არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ივარჯიშა. ნაახალწლევს კი ავლაბარში „ისნის“ სტადიონზე განაგრძო ვარჯიში. იანვრის მეორე ნახევარში არმიელები ბულგარეთს ეწვივნენ და ქალაქ ვარნაში ორკვირიანი შეკრება მოაწყვეს.

„ფეხბურთელთა სათამაშო ფორმით კმაყოფილი ვარ, საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა. პირობები ძალიან კარგი გვქონდა. დღეში ფაქტობრივად სამჯერ ვვარჯიშობდით. დილით ნახევარი საათი ზღვის პირას ფიზიკურად ვემზადებოდით, შემდეგ კი სტადიონზე ვატარებდით ორჯერად ვარჯიშებს. პირველ კვირას ამაში ამინდმაც შეგვიწყო ხელი, შემდეგ კი ცოტა გაფუჭდა და ამიტომ ხშირად დარბაზში გვიწევდა შესვლა“ — გვითხრა არმიელთა მთავარმა მწვრთნელმა მამუკა გეგეჭკორმა.

„არსენალმა“ ბულგარეთში სამი საკონტროლო მატჩი გამართა. პირველი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ ბურგასის „ნეფტოხიმიკთან“ 0:3 წაგო, თუმცა 65-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო, შემდეგ კი მსაჯს ერთი არმიელი გაუძევებია და „არსენალსაც“ სამი უპასუხო გოლი გაუშვია. მეორე შეხვედრა ქართველებმა დიდ დარბაზში სამოყვარულო კლუბ „ფეიერ პლეის“ 11:2 მოუგო, მესამეში კი პირველი ლიგის ლიდერ ბურგასის „ჩერნომორეცთან“ 0:1 დამარცხდა. ამ მატჩებში ჩვენებურთაგან ყველაზე მეტად ზაზა ზირაქიშვილი გამორჩეულა, მას განსაკუთრებით „ნეფტოხიმიკთან“ გამოუჩენია თავი. მამუკა გეგეჭკორის თქმით, მატჩი დასრულებული არ ყოფილა, ბულგარელები რომ მისულან და ზაზას „ნეფტოხიმიკში“ გადასვლაზე ჩამოუგდიათ სიტყვა. ეს ტრანსფერი თუ შედგა, ზაზა მეორე წრეში ჩვენ ველარ დაგვეხმარება და მიუხედავად იმისა, რომ იგი ძლიერ გვჭირდება, ხელს არ შევუშლითო.

გამორიცხული არ არის, „არსენალმა“ სეზონის განახლებამდე ერთი-ორი ახალი ფეხბურთელი დაიმატოს. 20 თებერვლამდე არმიელები სამი საკონტროლო თამაშის ჩატარებას აპირებენ. გეგეჭკორი ახალწვეულებსაც იმ მატჩებში გამოცდის და მათ გუნდში დარჩენა-არდარჩენის ბედსაც ამის შემდეგ გადაწყვეტს.

ვანო ოძროპირიძე

კიდევ ერთი უკრაინელი? გამცემლიძე ზაპოროჟიეში გამოჩნდა

ლანჩხუთის „გურიას“ შემტევი ნახევარმცველი, 1974 წელს დაბადებული პაატა გამცემლიძე ერთ დროს ტექნიკურ, საზრიან გამთამაშებლად ითვლებოდა.

სპეციალისტებიც კარგ საფეხბურთო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ პაატამ თანდათან თამაშს უკლო. ვერც „დინამოში“ გადასვლამ დაატყო დიდად სიკეთე მის კარიერას და ვერც „ლოკომოტივში“ თუ „გორდაში“ ბურთაობამ.

გამცემლიძის დანაშაული უკუსვლაში მცირედი თუ იყო. ბიჭი გაწამა წელის ქრონიკულმა ტრავმამ, რომელიც კარგა ხანია, აწუხებდა. მას სწორედ ის შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ ძალდატანებით, ტკივილგამყუჩებელი ნემსებით თამაშობდა და თავს დროზე არ მიხედა.

წინა ჩემპიონატის მერე პაატა თვალხედვის არედან დაგვეკარგა. საქართველოში არცერთი გუნდის განაცხადში არ აღმოჩნდა. უცხოეთში აბარგებულთა სიაშიც ვერ ვიპოვეთ.

ზოგი ამბობდა, მკურნალობსო, ზოგმაც — ფეხბურთი საბოლოოდ მიატოვაო. დასანანი იყო ნიჭიერი ნახევარმცველის ასე უსახელოდ „დაკარგვა“.

საბედნიეროდ, გამცემლიძეს ტრავმა მოურჩენია და ახლა ისიც, სხვათა მსგავსად, უკრაინულ უმაღლეს ლიგას შეხიზვნია.

პაატა გამცემლიძე ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ისინჯება და 13 თებერვლამდე კვიპროსულ შეკრებაზეც უკრაინელებთან ერთად ივარჯიშებს.

გამცემლიძის უკრაინაში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კვიპროსული შეკრების შემდეგ გაირკვევა, მაშინ, როცა „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ შტელინი ბოლო სიტყვას იტყვის.

მამუკა კვანტალიანი

დარასელია სატაილანდოდ მზადაა, ბანგკოკში კი ეგებ არც გველიან

ტრავმა მოვიშუშე, ვარჯიში დავიწყე და ნაკრებში სათამაშოდ მზად ვარო, გვითხრა გუშინ ებრაული „ჰაპოელ ცაფრირიმის“ ქართველმა ნახევარმცველმა გიორგი დარასელიამ, რომელიც ისრაელის უმაღლესი ლიგის მეორე წრის პირველივე ტურის მატჩში დაშავდა ჰერცლიას „მაკაბისთან“ გასვლით მატჩში.

— მეათე წუთზევე მეტოქე ისე ჩამივარდა ფეხებში, მყარად რომ არ ვმდგარიყავი, მომტეხდა. სამ დღეს არ მივარჯიშია, მაგრამ წინა შაბათს ირაკლი ზოიძის გუნდთან საშინამო მატჩში ისე ვითამაშე, თავს ძალას ვატანდი. იაფას „მაკაბი“ შინ მაინც უქულოდ უნდა გაგვეშვა, მაგრამ ზოიძემ ივაჟკაცა, ერთხელ ჩვენმა დაცვამაც ჩათვლიმა და 1:1 ვითამაშეთ. ასე, რომ მეორე წრის ორ საწყის მატჩში ორ ქულას დავჯერდით, თანაც სუსტ მეტოქეებთან — დაამატა დარასელიამ.

გიორგის გუშინ დილით საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი შეხმიანებია და „ცაფრირიმს“ ჩვენი ფედერაციის ფაქსიც მიუღია — დარასელიას სატაილანდოდ ნაკრებში ვიწვევთო. კლუბის მესვეურებს უწუწუნიათ, ტურნირი შესარჩევი ხომ არ არის და ეგებ არ წახვიდეო. გიორგი მაგრად დამდგარა, ნაკრებია, ამხანაგურ მატჩებში თუ არ ვითამაშე, პირდაპირ შესარჩევში ვინღა მიმიწვევსო და ებრაელებსაც რა ძალა ეჭირებოდათ.

ახლა საკითხავი ისღაა, მართლა წავა ჩვენი ნაკრები ტაილანდში თუ არა.

მამუკა კვანტალიანი

ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული
კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

ბავშვისსახიანი ტერორისტი

სამი წლის წინ, 1996-ის 6 აგვისტოს, უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე ეტაპზე თბილისის „დინამო“ ნორვეგიულ „მიოლდეს“ შეხვდა (2:1, 0:0).

ერთი თვით ადრე, 5 ივლისს, ამ კლუბის ახალგაზრდა, ვარსკვლავობისთვის გამზადებული ფორვარდი ოლე გუნარ სოლსკიაერი მსოფლიოს უმდიდრესმა გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შეიძინა. „მიოლდეს“ სალარო 1,5 მილიონი გირვანქით მოლონიერდა.

შედეგად ქართველები ამ ყმაწვილის სიძლიერის თვითმხილველნი ვერ გავხდნ.

1998 წლის იანვარში ბელგიის ქალაქ გენტში ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა გაიმართა. სხვა მეტოქეებთან ერთად ბედმა და დიდი იოჰან კრუიფის ხელმა მოწინააღმდეგედ ნორვეგიის ეროვნული გუნდიც გვარგუნა. სკანდინავიელებს საქართველოს ნაკრები ზედიზედ ორჯერ შეხვდება. ჯერ შინ 28 აპრილს, მერე სტუმრად 30 მაისს. ნორვეგიელთა თავდამსხმელი ეროვნებას ნაღდად ვერარ გამოიცვლის და თუ რაიმე არ შეემთხვა, სოლსკიაერს ორჯერ ვიხილავთ ქართველ მცველებთან მებრძოლს. მისი დაკავება კი ძნელი საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ ოლემ „ნოტინგემ ფორესტს“ 12 წუთში 4 გოლი გაუტანა.

ამგვარი რამ, და ეს მრავლისმახვევლმა ალექს ფერგიუსონმაც აღნიშნა, იშვიათად ხდება. კი, გაუტანიათ ამდენი და მეტიც პელეს, ვან ბასტენს, ეუსებიოს, დათუნაშვილს, მაგრამ 12 წუთში?

სოლსკიაერის გაღმერთებას არ ვაპირებთ. ნოტინგემის „სიტი როუდზე“ სასწაულებს რომ სჩადიოდა, ამაში ილბალმაც შეუწყო ხელი. მაგრამ ბედი ხომ ძლიერებს ულიმის. მათ, ვინც ამას იმსახურებს. ვაითუ, ფორტუნა თბილისშიც ჩამოჰყვეს?!

მანჩესტერში სოლსკიაერს გმირს ეძახიან, სამშობლოში კი ფეხბურთის ღმერთს. 25 წლის ნორვეგიელი ბიჭისთვის ეს უკვე აღიარებაა, მაგრამ თავად ასე არ თვლის. მიზეზი ალბათ ის არის, რომ ბოლო ხანებში „მენიუს“ ძირითადში ძალიან იშვიათად ხვდება...

სპეციალისტთა ყურადღება ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან „მიოლდეში“ თამაშისას მიიპყრო და სულ მალე მანჩესტერშიც აღმოჩნდა, ალექს ფერგიუსონის შეგირდთა შორის. აღმოჩნდა და პირველივე სეზონში 18 გოლი გაიტანა, რამდენიმე იშვიათი სილამაზის. მისი და ერიკ კანტონას დუეტი ხომ ცალკე თემაა. სწორედ ამ ორი ფეხბურთელის უდიდესი დამსახურებაა მაშინდელი პრემიერლიგური ტრიუმფი, კანტონასთვის ბოლო, სოლსკიაერისთვის კი ნამდვილად არა.

შემდგომი სეზონი ნორვეგიელისთვის ცუდი გამოდგა. ეს, ალბათ, ფეხბურთიდან და შესაბამისად „იუნაიტედიდან“ კანტონას ნაადრევი წასვლის ბრალი იყო. თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიზეზს არ აქვს — სოლსკიაერი სათადარიგოთა გარემოცვაში მოექცა და გუნდის მეოთხე თავდამსმელად იქცა. ფერგიუსონი უპირატესობას ენდი კოულს, პოლ სქოულზსა და ტედი შერინგემს ანიჭებდა. ამასთან ოქროსფერთმიანი „ბავშვისსახიანი ტერორისტი“ არც ტრავმებმა დატოვეს უყურადღებოდ.

ყველაზე მძიმე მანჩესტერული წუთები სოლსკიაერმა მაშინ განიცადა, როცა მისმა კლუბმა სარეკორდო თანხა შეაძლია ბირმინგემის „ასტონ ვილას“ (დაახლოებით 25 მილიონი დოლარი) და სანაცვლოდ ტრინიდადელი ფორვარდი დუაიტ იორკი გადაიბირა. ყველა მიხვდა, რომ ოლეს დღეები მანჩესტერში დათვლილი იყო, ახალი კონტრაქტიც გამზადდა — შარშან აგვისტოში „ტოტენჰემმა“ 9 მილიონი დოლარი გაამზადა, „მენიუმ“ სოლსკიაერი, მაგრამ...

ოლე გუნარ სოლსკიაერი

დაიბადა 1973 წლის 26 თებერვალს კრისტიანსუნდში
ეროვნება ნორვეგიელი
მოზიცია — თავდამსხმელი
ყოფილი კლუბები ფკ კლაუსენენგენი, მიოლდე (ნორვეგია)
1996 წლის 5 ივლისს 1,5 მილიონ გირვანქად (2,46 მილიონი დოლარი) გადავიდა „მანჩესტერ იუნაიტედში“
1996-97, 1997-98 წლების სეზონებში „მანჩესტერის“ შემადგენლობაში პრემიერლიგაში ჩაატარა 40 შეხვედრა. გაიტანა 24 გოლი.
ტიტულები პრემიერლიგაში:
1996 სუპერთასი
1997 პირველი ადგილი და სუპერთასი

— ბიჭს (ასე ეძახის ფერგიუსონი ჩვენი წერილის გმირს) წასვლა არ უნდოდა და ამის შესახებ ბოლოწამს მითხრა. სიმართლე რომ ვთქვა, ძალიან გამიხარდა. იგი ნიჭიერი, შრომისმოყვარე ფეხბურთელია და თუ ფორმაშია, გუნდის საერთო სურათში იდეალურად ჯდება — თქვა მაშინ მანჩესტერელთა შოტლანდიელმა თავკაცმა.

ერთი სიტყვით, სოლსკიაერი „იუნაიტდში“ დარჩა. დარჩა და ძირითადად იმის ყურება უხდებოდა სათადარიგოთა სკამიდან, თუ როგორ არბევდნენ მეტოქეს მანჩესტერელი შავები — დუაიტ იორკი და ენდი კოული.

ზემოთ ფერგიუსონმა თქვა, ოლე შრომისმოყვარე ბიჭიაო. მართალი ყოფილა, წლევანდელი სოლსკიაერი შარშანდელზე გაცილებით კარგად გამოიყურება და თუ ასე გააგრძელა, მალე ან კოული გადაინაცვლებს რეზერვში, ანაც „მანჩესტერი“ სამი ფორვარდით შეუტევს.

ყველაფერი 10 იანვარს დაიწყო. იგი ბოლო წუთებზე გამოჩნდა „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში და მისი ბურთთან პირველივე შეხება ლონდონელთა კარში მეოთხე გოლად იქცა. ორი კვირის მერე სოლსკიაერი კვლავ შეცვლაზე შევიდა მატჩის მიწურულს. მატჩისა, რომელშიც ასოციაციის თასზე ერთმანეთს ორი ინგლისური გიგანტი — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპული“ ხვდებოდა. დრო იწურებოდა, „ოლდ ტრეფორდის“ ტაბლოს ორი ერთიანი ამშვენებდა და გოლი გავიდა, სოლსკიაერის გოლი.

— როდესაც მას მოედანზე ვუშვებ, ათიდან ცხრა შემთხვევაში ვიცი, რომ სასწაულს მოახდენს — შეაქო „ლივერპულის“ ძლევის შემდეგ „ტერორისტი“ ფერგიუსონმა.

ნამდვილი სასწაული კი თურმე წინ ყოფილა. აი, რა თქვა იმავე ფერგიუსონმა შაბათს საღამოს:

— ჩვეულებრივი შეცვლა გავაკეთე ვიცოდი, გული მიგრძნობდა, რომ გაიტანდა, მაგრამ ოთხს? თანაც 12 წუთში? ამას ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი. ბიჭი აშკარა პროგრესს განიცდის და მალე, ალბათ, ჩვეულად ათამაშდება, როგორც შეუძლია და როგორც ყველა ელის მისგან — მე, თანაგუნდელები, ქომაგები. წინ სათასო მატჩია (ასოციაციის თასის მეხუთე წრეში „ასტონ ვილას“ მძლეველ „ფულემთან“ დ.კ.) და მას აუცილებლად სასტარტო შემადგენლობაში დავაყენებ.

დიახ, „ნოტინგემის“ მეკარე დეივ ბიზანტის კარში ოთხი გოლის გატანით სოლსკიაერმა ბევრი დაამტკიცა. პირველ რიგში ის, რომ ჩამოსაწერი არ არის და კვლავ შეუძლია მეტოქეთა გაბითურება.

ახლა კი თავად ოლე გუნარ სოლსკიაერს მოვუსმინოთ, ასე უფრო კარგად გავიცნობთ „ბავშვისსახიან ტერორისტს“.

... მე რაიან გიგზის და დეივიდ ბექემის მაგვარი ტალანტი არ გამაჩნია. ამ ნაკლის აღმოფხვრას შრომით, მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრით ვცდილობ. ცხოვრებამ ბევრი რამ დამანახა. უმთავრესი კი ის, რომ ხელების ჩამოშვება არასდროს არ შეიძლება, ადამიანი თუ რამეს მოინდომებს, აუცილებლად მიაღწევს...

... ბოდიშს ვუხდი რონი იონსენს და დანარჩენ თანაგუნდელებს, მაგრამ ვატყობ, რომ ისინი ხანდახან ბოლომდე არ იხარჯებიან. მე სხვა პრინციპები მაქვს — როცა მინდორზე ხარ, თუნდაც არაფერი გამოგდიოდეს, სულით არ უნდა დაეცე, წამითაც კი...

... პრემიერლიგაში პირველად გავიგე დიდი გამარჯვების გემო. ის სამშაბათი არასდროს დამავიწყდება — მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ რონი იონსენი მეცა და გადამეხვია. მერე კი ყველანი ერთად გადარეულებივით ვყვიროდით, ჩვენ ხომ ინგლისის ჩემპიონები გავხდით. ეს შესანიშნავი იყო და ოლე გუნარ სოლსკიაერი ყოველთვის შეეცდება, რათა ასეთი დღეები მის ცხოვრებაში რაც შეიძლება ბევრი იყოს...

დავით კოვზირიძე

სარგებელის არქივიდან

რაიან გიგზი სოლსკიაერს მორიგი გოლის გატანას ულოცავს

ფეხბურთის რუკასთან

ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი მარკ ვილმოტსი კარგა ხანს ვეღარ ითამაშებს. მან კოჭის ტრავმა მიიღო და ფეხბურთს დაახლოებით ორი თვე გამოეთხოვა. „სამწუხაროა ვილმოტსის ტრავმა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ სეზონის ბოლომდე იგი გამოჯანმრთელდება და გუნდის დახმარებასაც შესძლებს“ — განაცხადა ვილმოტსის კლუბის, გელზენკირხენის „შალკეს“ წარმომადგენელმა. ბოლო წლებში ბელგიელი ნახევარმცველი სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავს. სხვათა შორის, ვილმოტსს „შალკეში“ უეფას თასიც მოუგია. „ძალიან მინდოდა, ბუნდესლიგის მეორე წრეს საღ-სალამთი შევხვედროდი, მაგრამ არ გამოვიდა. თავს ზემოთ ძალა არაა. მარტის ბოლომდე დასვენება მომიწევს“ — განაცხადა ვილმოტსმა. ტრავმის გამო მან გუშინ ჩეხებთან ბელგიის ნაკრებშიც ვერ ითამაშა.

ეკვადორელი ჯონათან ერერა ბელარუსის საუკეთესო კლუბ მინსკის „დინამოში“ გადავიდა. ამერიკის უდიდეს ქალაქ ნიუ იორკში გაზრდილ 18 წლის ბიჭს ახალი კლუბი მისმა მენეჯერმა გამოუძებნა. მანამდე ერერა ნიუ იორკის „მეტროსტარზში“ თამაშობდა. ფეხბურთელმა და კლუბმა კონტრაქტი ორშაბათს გააფორმეს. „ვიცი, თავდაპირველად გამიჭირდება ბელარუსიის ჩემპიონატთან შეგუება, მაგრამ ვეცდები გუნდში ჩემი ადგილი დავიმკვიდრო, ეს ჩემთვის მთავარია“ — განაცხადა ერერამ.

ინგლისის ნაკრების ფრანგებთან ამხანაგური შეხვედრისთვის მზადებისას პრობლემები შეექმნა და ახალმა მწვრთნელმა ჰოვარდ უილკინსონმა გადაწყვიტა გუნდის შემადგენლობაში მცირედი ცვლილება მოეხდინა. გუშინ უილკინსონმა ნაკრებში გამოიძახა ლონდონის „არსენალის“ ვეტერანი მცველი დიქსონი, რომელმაც ქვეყნის პირველი გუნდის ღირსება ბოლოს 1993 წელს დაიცვა, სან მარინოსთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. საერთო ჯამში 34 წლის მცველს ინგლისის ნაკრებში 21 მატჩი უთამაშია. დიქსონი უილკინსონმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველის გარი ნევილის სანაცვლოდ გამოიძახა, რომელიც რამდენიმე დღის წინ კოჭმა შეაწუხა. „მართალი გითხრათ, ნაკრებზე არც ვფიქრობდი, მაგრამ ახლა ფრთაშესხმული ვარ. ყველაფერს გავიღებ გუნდისთვის“ — განაცხადა დიქსონმა.

ზიმბაბვეს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის თასის გათამაშების მასპინძლობა რამდენიმე წლის წინ დაავალა, მაგრამ ახლა ეს უფლება თავადვე ჩამოართვა. კოტ დივუარის ქალაქ აბიჯანში შავი კონტინენტის ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად ზიმბაბვეში 2000 წელს გასამართ აფრიკის თასის გათამაშებაზეც ისაუბრეს. კონფედერაციის წევრებმა ზიმბაბვე ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობისთვის მოუმზადებლად მიიჩნიეს და გათამაშების მიღების უფლებაც ჩამოართვეს. „არ გვსურს, ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის მიმდინარეობისას რაიმე პრობლემა შეიქმნას. ჩვენ აფრიკის თასის მასპინძელს მალე გამოვძებნით“ — განაცხადა აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა, მუსტაფა კამმ.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა როჟე ლემერმა ინგლისელებთან ამხანაგური მატჩის წინ გუნდის შემადგენლობა ერთი ფეხბურთელით შეცვალა. თავდაპირველად ლემერს ნაკრების თავდამსხმელად „ბორდოს“ ფორვარდი, საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი, ლილიან ლასლანდი ჰყავდა შეგულებული, მაგრამ მან ბოლო ტურში „რენთან“ 1:1 თამაშისას კუნთი გაიწყვიტა და შესაბამისად, ნაკრების შემადგენლობიდანაც ამოვარდა. ლემერმა ლასლანდი ასევე ბორდოელი სილვენ ვილტორდით შეცვალა. ვილტორდი 15 გოლით საფრანგეთის პირველობის ბომბარდირთა ლიდერია.

ინგლისის „ტოტენჰემმა“ ოთხი ფეხბურთელი დააყენა ტრანსფერზე. ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ ალჟირელ მუსა საიბს, პორტუგალიელ ჟოზე დომინგუშს, იტალიელ პაოლო ტრამეძანის და შოტლანდიელ კოლინ კარდერვუდს გუნდიდან წასვლის უფლება მისცა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელთა ახალი კლუბები მათ სანაცვლოდ შესაბამის თანხას გადაიხდიან. ოთხივე მოთამაშემ „ტოტენჰემის“ მწვრთნელად ჯორჯ გრემის დანიშვნის შემდეგ დაკარგა შემადგენლობაში ადგილი. ყველა ეს მოთამაშე გრემის წინამორბედებმა კრისტიან გროსმა და ჯერი ფრენსისმა შეიძინეს. მუსა საიბი გასულ თებერვალს გადავიდა „ტოტენჰემში“ 3,7 მილიონ დოლარად, მაგრამ ამ სეზონში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა და ისიც მხოლოდ შეცვლაზე. დომინგუშიც ხუთჯერ გამოჩნდა შემადგენლობაში და ასევე შეცვლაზე. იგი „ტოტენჰემმა“ 1997 წლის აგვისტოში შეიძინა 2,6 მილიონ დოლარად, რაც შეეხება „პიაჩენცადან“ 2,2 მილიონ დოლარად სეზონის წინ გადაბარგებული მცველის, პაოლო ტრამეძანის, მან პრემიერლიგის პირველი შვიდი შეხვედრა ძირითადში ითამაშა, მაგრამ გრემის გამოჩენის შემდეგ სათადარიგოთა სკამს ვერ ასცდა.

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ფრენკ რაიკაარდმა პორტუგალიელებთან ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა შემადგენლობაში ერთი ცვლილება შეიტანა. რაიკაარდმა ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ დასნეულებული თავდამსხმელი მარკ ოვერმარსი „ბარსელონას“ ჰოლანდიელი ლეგიონერით ბუდევინ ზენდენით შეცვალა. ოვერმარსი სანაკრებო შეკრებისას გაცივდა და ჰოლანდიიდან ინგლისში გაფრინდა. ზენდენს ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აღარ უთამაშია. ბოლოჯერ ნარინჯისფერთა შემადგენლობაში იგი ხორვატიასთან მესამე ადგილისთვის მატჩში გამოჩნდა და გოლიც გაიტანა. შეგახსენებთ, რომ ის მატჩიხორვატებმა 2:1 მოიგეს. ფრენკ რაიკაარდის გუნდი პორტუგალიას პარიზში დაუპირისპირდება. სხვათა შორის ჰოლანდიელთა და პორტუგალიელთა ბოლო ოთხი დაპირისპირებიდან სამი პორტუგალიელებმა მოიგეს. ჰოლანდიას ახალი მწვრთნელის თავკაცობით ჯერ მატჩი არ წაუგია.

ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჯონ ბარნსი „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ დროებით „ჩარლტონში“ გადავიდა. „ლივერპულის“ ყოფილ ფეხბურთელს ამ სეზონში მხოლოდ 23 წუთი უთამაშია, ისიც „ჩარლტონთან“ ფრედ დასრულებულ შეხვედრაში. ბარნსმა ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველი მატჩი შესაძლოა მომავალ ტურშივე ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ „ლივერპულში“ თამაშისას ბარნსს ორჯერ მოუგია პრემიერლიგა, ერთხელ კი ასოციაციის თასი.

სარგებელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ ალუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ხრისტოს დაბრუნება

სარბიელის არქივიდან

ხრისტო სტოიჩკოვი

თებერვლის მიწურულს ჰონგკონგში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ბულგარეთის ნაკრებიც.

ორშაბათს ბულგარელთა თავკაცმა დიმიტარ დიმიტროვმა აზიაში გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობა დაასახელა. მწვრთნელის რჩეულ ფეხბურთელთა შორის მოხვდა იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ „კაშივა რეისოლში“ მოთამაშე ხრისტო სტოიჩკოვი.

ბულგარეთის ნაკრები შინაურ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებით დაკომპლექტდება. დიმიტარ დიმიტროვმა განაცხადა, ლეგიონერებსაც მოვიწვევთო, მაგრამ გუნდები არ უშვებენ. მწვრთნელისავე თქმით, სტოიჩკოვის გარდა მან შესაძლოა უცხოეთში მოთამაშე კიდევ ერთი ფეხბურთელი მოიწვიოს. ესაა ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველი, ოვაილო იორდანოვი.

ბულგარეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — დიმიტარ ივანკოვი (ლევსკი), გეორგი პეტკოვი (სლავა); მცველები — მალინ ორაჩევი (ნეფტოხიმიკი), ზლატომირ ზაგორჩიჩი, რადოსტინ კიშიშევი (ლიტექსი), ილიან სტოიანოვი (კისტენდილი), ვალენტინ ნაიდენოვი, გეორგი ანანოვი (ლოკომოტივი), ვლადიმირ იონკოვი (ლევსკი); ნახევარმცველები — ზლატკო იანკოვი (სპორტინგი, პორტუგალია), სტილიან პეტროვი, მილენ პეტროვი (ცსკა), ილია გრუევი (ნეფტოხიმიკი); თავდამსხმელები — გეორგი პაჩევი (სლავია), ხრისტო იოვოვი (ლოკომოტივი), გეორგი ივანოვი (ლევსკი), ხრისტო სტოიჩკოვი (კაშივა რეისოლი).

სარბიელის არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიროსლავ ბლაჟევიჩმა და დავორ შუკერმა გასულ ზაფხულს ხორვატიას უკვდავი წამი აჩუქეს

ნუ ჩაქრები, ბიჭო

დავორ შუკერის ვარსკვლავს ჩაქრობა ემუქრება, ფიქრობს ხორვატიის ეროვნული გუნდის თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილზე გავიდა, შუკერი კი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ბლაჟევიჩი ხედავს, რომ ფორვარდს მადრიდის „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს და ასკვნის:

„დავორი მეტად საჩოთირო მდგომარეობაშია. ის ვალდებულია სტიმული გამოძებნოს, რათა კვლავ მოწინავე გახდეს და დაამტკიცოს, რომ გუნდისთვის მის გარეშე არსებობა შეუძლებელია. ისტორია მრავალი შემთხვევის მოწმეა, როდესაც მასზე ძლიერი პიროვნებები, რაიმე წარმატების გამო ზეიმით გატაცებულნი, სარბიელიდან ქრებოდნენ“.

ეს სიტყვები ბლაჟევიჩმა გუშინ, სპლიტში, ნაკრების ბაზაზე, დანიელებთან ამხანაგური შეხვედრის წინა დღეს თქვა:

„გაიხსენეთ, მაგალითად, იტალიელი პაოლო როსი, რომელიც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უკვალოდ გაქრა. იგივე შეიძლება ითქვას არგენტინელ მარიო კემპესზეც. მან 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო და ისე დაკნინდა, რომ „ვალენსიას“ ძირითად შემადგენლობაშიც ვეღარ ხვდებოდა“ — დასძინა ხორვატიის ნაკრების ხელმძღვანელმა.

დღევანდელი ამხანაგური მატჩი ხორვატთათვის დიდი მნიშვნელობისაა. ამ შეხვედრის შემდეგ, მარტში, ხომ ევრო 2000-ის შესარჩევია და თან როგორი: ხორვატია — იუგოსლავიაა.

პაპუნა კედია

პრობლემა გადადგა, გაუმარჯოს ახალგაზრდობას!

სარბიელის არქივიდან

კარლო ანჩელოტი

ეპოქა დასრულდა. „იუვენტუსის“ მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა კაცი, რომლის სახელთანაც უდიდესი წარმატებებია დაკავშირებული. მარჩელო ლიპი „დელე ალპის“ გამოეთხოვა.

კვირას, შინ, „პარმასთან“ 2:4 წაგებული შეხვედრის შემდეგ, გაღიზიანებულმა მაესტრომ განაცხადა:

„თუ „იუვენტუსის“ პრობლემა მე ვარ, ინებეთ განცხადება გადადგომის შესახებ. ვნახოთ, როგორია გუნდი ლიპის გარეშე. ყველა ღონე ვიხმარე, რათა საქმე გამომესწორებინა, მაგრამ ვერ შევძელი“.

კლუბის პრეზიდენტმა ვიტორიო კიუსანიმ ლიპის გადადგომის გამო ასე განაცხადა:

„თქვენ ახლა მოისმინეთ იმ კაცის სიტყვები, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს. იგი საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს შეეჯახა და გადადგა, თუმცა მართალი გითხრათ, მისი განცხადება მოულოდნელი იყო“.

ისევ ლიპი: „კლუბის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს უკავშირებენ ჩემს ამასწინანდელ განცხადებას სეზონის ბოლოს გუნდიდან წასვლის შესახებ. თუ ასეა, მივდივარ“.

მართლაც, „იუვენუტუსს“ ასეთი ცუდი დროება ძალიან დიდი ხანია არ დგომია. ის მეცხრე ადგილზეა და ლიდერს, „ფიორენტინას“ 15 ქულით ჩამორჩება. იხსენებენ, რომ შუა სეზონში, მეცხრე ადგილზე გუნდი ბოლოს 1962 წელს იყო. მაშინ, ჩემპიონატის ბოლოს „ბებერი ქალბატონი“ მეთორმეტეზე გავიდა. აღსანიშნავია მეტისმეტად მოკრძალებული შედეგიანობაც: 20 თამაშში მხოლოდ 22 გოლია გატანილი.

გამოსავლის ძიებაში ტურინელებმა ახალი ფეხბურთელები, ფრანგი ტიერი ანრი და არგენტინელი ხუან ესნაიდერი დაიმატეს, მაგრამ ამას საგრძნობი შედეგი არ მოჰყოლია. აღიარებული ვარსკვლავი, ალესანდრო დელ პიერო, დაშავებულია და სავარაუდოდ გვიან გაზაფხულამდე მოედანს ვერ დაუბრუნდება. გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი კი მსოფლიოს ჩემპიონ თანაგუნდელ, დიდიე დეშამპთან ერთად აშკარად ცუდ ფორმაშია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საფრანგეთი 98-ის ტრიუმფმა ისინი ემოციურად განმუხტა.

ლიპი: „რაც სეზონის ბოლოს „იუვენტუსიდან“ წასვლაზე ვილაპარაკე, გუნდმა სულ უკლო და უკლო თამაშს. ალბათ ამაში ჩემი წილი ბრალიც არის“.

მაესტროს თანამდებობიდან წასვლის შესახებ დელ პიერომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კოლორადოს ქალაქ ვეილში შეიტყო, სადაც დაშავებულ მუხლს იამებს.

„ძალიან გამიკვირდა“ — უთხრა ვარსკვლავმა ჟურნალისტებს — „რა გაეწყობა, მწვრთნელის გადაწყვეტილებას უნდა შევეგუოთ. ერთი კი მინდა, რომ ყველამ იცოდეს: ჩვენ, ფეხბურთელებს მისთვის არასდროს გვიღალატია“.

უმწვრთნელოდ „ბებერმა ქალბატონმა“ მხოლოდ ერთი დღე გაატარა. ლიპიმ გუნდიდან წასვლის თაობაზე კვირას განაცხადა, ორშაბათ საღამოს კი მისი შემცვლელის ვინაობა უკვე ცნობილი იყო: კარლო ანჩელოტი.

სიახლე ამაში თითქოს არაფერია. ლიპი რომ უნდა წასულიყო და მის ნაცვლად „დელე ალპიზე“ ანჩელოტი გამოჩენილიყო, კარგა ხნის ცნობილი ამბავია, უბრალოდ მოვლენები დაჩქარდა. ის, რასაც ივნისში გეგმავდნენ, თებერვალში მოხდა.

39 წლის კარლო ანჩელოტიმ იტალიურ ფეხბურთში სახელი 80-იან წლებში დაიგდო. მაშინ იგი „რომას“ ფეხბურთელი გახლდათ. „რომამ“, რომელშიც ანჩელოტი გამოდიოდა, 1983 წელს სკუდეტო მოიგო, 1984-ში კი ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა. ანჩელოტი-ფეხბურთელის კარიერაში, ბუნებრივია, უმაღლესი მიღწევა 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვება გახლდათ.

„რომას“ მერე „იუვენტუსის“ ახალი მწვრთნელი „მილანში“ თამაშობდა არიგო საკის ხელმძღვანელობით. ეს გახლდათ დიდი „მილანი“, რომელიც 1988 და 1989 წლებში ჩემპიონთა თასს დაეუფლა. საკიმ კარიერის დასასრულთან მყოფ ანჩელოტიზე უდიდესი გავლენა იქონია, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი საფეხბურთო აზროვნება და როდესაც იტალიის ნაკრების მწვრთნელის პოსტი ჩაიბარა, ანჩელოტი ასისტენტად იხმო.

ასე დაიწყო კარლო ანჩელოტის სამწვრთნელო კარიერა. საკისთან განშორების შემდეგ მან დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჰყო ხელი, სათავეში ჩაუდგა „რეჯანას“, რომელიც სერია B-დან სერია A-ში აიყვანა. „რეჯანას“ მერე კი იყო „პარმა“, პატარა, პროვინციული ქალაქის გუნდი, ანჩელოტის ხელში ჩემპიონთა ლიგაში რომ გამოვიდა. მაგრამ ანჩელოტიმ პარმელებს სკუდეტო ვერ მოაგებინა და თანამდებობა დაკარგა.

„იუვენტუსის“ არჩევანს, ისევე როგორც მის მასწავლებელს, არიგო საკის, ოპტიმალურად 4-4-2 განლაგება მიაჩნია. ორივეს ურთიერთდაზღვევებსა და სქემებზე აწყობილი თამაში ურჩევნია გამთამაშებლის ირგვლივ აგებულ სანახაობას.

ანჩელოტის დანიშვნას „იუვენტუსის“ ქომაგთაგან ყველა როდი შეხვდა აღტაცებით, მაგრამ ლიპის მემკვიდრემ ასე განაცხადა:

„ქომაგებმა შედეგების მიხედვით განმსაჯონ“.

მიხეილ სურგულაძე

მარჩელო ლიპი

- დაიბადა 1942 წლის 11 აპრილს ვიარეჯოში.
- 1970 ვიარეჯოს ბავშვთა გუნდ, „რედ სტარში“ თამაშის მერე „სამპდორიაში“ გადავიდა, სადაც ლიბეროდ ათამაშებდნენ
- 1971 17 თებერვალს 23 წლამდელთა ნაკრებში ათამაშეს პირველად. ქვეყნის B ნაკრებში სულ ორჯერ მიიწვიეს
- 1981-82 ჯერ სერია B-ს „პისტოჟეში“ გადადის, მერე კი სერია C-ს „ლუკეზეში“. ფეხბურთელის კარიერა კი სერია A-ში ჩატარებული 239 მატჩითა და 7 გოლით დასრულა
- 1984-85 „სამპდორიაში“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელად იწყებს მუშაობას
- 1985-86 ხდება უდაბლესი ლიგის გუნდის „პონტენდერას“ მწვრთნელი
- 1986-87 მუშაობს „სიენაში“
- 1988-89 აჭყავს სერია A-ს გუნდს „ჩეზენას“ და მე-12 ადგილზე გაჭყავს. იმავე წელიწადს უარს აცხადებს „ატალანტას“ სათავეში ჩადგომაზე. „ჩეზენადან“ აგდებენ
- 1991-92 გადადის სერია B-ს გუნდ „ლუკეზეში“
- 1992-93 „ატალანტას“ მწვრთნელის რანგში სერია A-ს უბრუნდება
- 1993-94 „ნაპოლი“ უეფას თასზე გაჭყავს
- 1994-95 გადადის „იუვენტუსში“ და გუნდს აგებინებს სკუდეტოსა და ქვეყნის თასს, უეფას თასზე კი ფინალში „პარმასთან“ მარცხდება
- 1995-96 „იუვენტუსი“ იგებს ჩემპიონთა თასსა და იტალიის სუპერთასს
- 1996-97 ხდება იტალიის ჩემპიონი. იგებს ევროპის სუპერთასს და საკონტინენტთაშორისო თასს. მარცხდება ჩემპიონთა თასის ფინალში
- 1997-98 ხდება იტალიის ჩემპიონი. მარცხდება ჩემპიონთა თასის ფინალში

მწვრთნელთა ძიებაში

ტონინიო სერეზო

ბრაზილიაში გუნდმა სეზონი ერთი მწვრთნელის ხელმძღვანელობით რომ დაიწყოს და სულ სხვისი თავკაცობით ჩაამთავროს, მოულოდნელი ამბავი სულაც არაა. კაცმა რომ თქვას, ეს ბრაზილიაში აუცილებელ პირობადაც კი ითვლება. ძალიან იშვიათად, გუნდს ერთი მწვრთნელი გაჰყვეს სეზონის ბოლომდე.

სამხრეთ ამერიკა

Confederación Sudamericana de Fútbol

ქვეყნის ჩემპიონატი კარგა ხანია, დაიწყო, ერთ-ერთი ბრაზილიური კლუბი „ატლეტიკო მინეირო“ კი კვლავ მწვრთნელის ძიებაშია. გუნდის თავმჯდომარე, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ტონინიო სერეზო, რამდენიმე დღის წინ კლუბიდან წასული რიკარდო დრაბსკის შემცვლელს ეძებს. მწვრთნელის და „ატლეტიკო მინეიროს“ საუკეთესო თავდამსხმელ ვალდრის უჩხუბიათ და დრაბსკიმაც, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო.

— გუნდში მწვრთნელის უფლებები ილახება, ეს კი დაუშვებლად მიმაჩნია. როცა კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მწვრთნელს, სჯობს, სულ წავიდე. „ატლეტიკო მინეიროში“ მუშაობა აუტანელი იყო. ვალიდირის მითითებები და ზურგსუკან ქილიკი ყელში ამომივიდა და მივატოვე იქაურობა — განაცხადა რიკარდო დრაბსკიმ. სხვათა შორის, იგი მესამე მწვრთნელია, რომელიც ამ სეზონში გუნდს ხელმძღვანელობდა.

თუ ვინმეს ბრაზილიურ ფებურთში სიტყვა ეთქმის, ერთ-ერთი მათგანი კარლოს ალბერტო ტორესია, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი. „ატლეტიკო მინეიროს“ სეზონის დასაწყისში სწორედ ლეგენდარული ფეხბურთელი კარლოს ალბერტო წვრთნიდა, მაგრამ იგი მაინც დაითხოვეს. კარლოს ალბერტოსა და ვალდირის ურთიერთშელაპარაკება დაპირისპირებაში გადაიზარდა და გუნდის ხელმძღვანელობამ მწვრთნელის გაშვება გადაწყვიტა. ტონინიო სერეზომ მას გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა, მერე კი გასასვლელისკენ მიუთითა.

ვალდირი კლუბში დარჩა.

კარლოს ალბერტოს შემდეგ, გუნდი დროებით თავად ტონინიო სერეზომ ჩაიბარა, თუმცა „ატლეტიკო მონეიროსთვის“ დიდხანს არ უხელმძღვანელია — გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობის თავკაცი რიკარდო დრაბსკი შეიგულა და ძირითადი შემადგენლობა ჩააბარა. შემდეგ რაც მოხდა, ზემოთაც ვთქვით.

— ჩვენი კლუბისთვის ვალდირი ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. იგი „ატლეტიკო მონეიროს“ ლიდერია, წამყვანი ფეხბურთელი კი, ჩემი აზრით, არავინ არ უნდა გაანაწყენოს. შეიძლება გარკვეული პრობლემები შექმნას, მაგრამ მწვრთნელს მათი გადაჭრა უნდა შეეძლოს. კარლოს ალბერტოს და რიკარდო დრაბსკისაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მათ ყველაფერი დროზე ვერ მოაგვარეს და თანამდებობიდანაც ამიტომ გათავისუფლდნენ — განაცხადა ტონინიო სერეზომ.

როდესაც კლუბის თავკაცს ფეხბურთელი ირჩევს, საეჭვოა, იმ გუნდმა რაიმე წარმატებას მიაღწიოს. არაა გამორიცხული, სეზონის განმავლობაში „ატლეტიკო მინეირომ“ ჯერ დაუნიშნავი მწვრთნელი კიდევ შეიცვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელის არქივიდან

პატრიკ ბერგერის (მარჯვნივ) შეჩერება ძნელი საქმეა

პატრიკ ბერგერი ინგლისურ სიგნელესა და ჩეხთა იმედზე

„ლივერპულის“ ჩეხი ნახევარმცველი პატრიკ ბერგერი უარჰყოფს აზრს, თითქოს ინგლისური პრემიერლიგა უცხოელ ფეხბურთელთა გამრავლებამ დააზარალა. პირიქით, იგი ამბობს, რომ ახალი სისხლი ახალ იდეებსა და მიმართულებებს შობს ანუ ამდიდრებს ალბიონის ფეხბურთს.

ჩეხს მიაჩნია, რომ ინგლისურ კლუბთა წარუმატებელი ასპარეზობა კონტინენტურ შეჯიბრებებზე სწორედ უცხოელი მწვრთნელების მოტანილი ტაქტიკური სქემებითა და ტექნიკის განვითარების მეთოდებით უნდა განიკურნოს. ბერგერი „ლივერპულში“ გადასვლის პირველ ხანებში მწვრთნელის, როი ევანსის ტაქტიკური ცოდნის სიღარიბეს გაუოცებია და გუნდის ახალ, ფრანგ მწვრთნელს, ჟერარ ულიეს აქებს.

„ულიემ ძალიან ბევრი რამ შეცვალა“ — ამბობს ევროპის 1996 წლის პირველობის ვიცე-ჩემპიონი — „მან ინგლისში ევროპიდან ცოდნა ჩამოიტანა. მისი იდეები განსხვავებულია, გუნდი ტაქტიკურად გაიმართა და დისციპლინამაც იმატა. ყველაფერი, რაც გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში აღიარებულია, თანდათან ინგლისშიც იკიდებს ფეხს. პრემიერლიგა, მართალია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ უეფასა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებს აქაური გუნდები ადრეულ ეტაპებზევე ემშვიდობებიან. რატომ? იმიტომ, რომ ისინი არ სწავლობენ, არ ეუფლებიან იმას, რისი გაკეთებაც სხვებს შეუძლიათ“.

ბერგერისთვის სამგალითონი იტალიელი ჯანლუკა ვიალი და ფრანგი არსენ ვენგერი არიან. ამ ორმა ადამიანმა ლონდონური კლუბების, „ჩელსისა“ და „არსენალის“ ცხოვრებაში ინგლისელთათვის უცხო, მოწინავე აზროვნების წესი შეიტანეს და იმიტომაც აღწევენ მათი გუნდები წარმატებებს.

„მე თუ მკითხავთ, ინგლისურ ფეხბურთს სწორედ მწვრთნელთა პროგრესულმა აზროვნებამ უნდა უშველოს“ — ამბობს ის.

აღსანიშნავია, რომ 25 წლის მოთამაშეს ლივერპულში ულიეს ჩასვლამ დიდი საქმე გაუკეთა, რადგან ევანსის ხელმძღვანელობის დროს მას გუნდში დამკვიდრება ძალიან უჭირდა. მოგეხსენებათ, ევრო 96-ის ერთ-ერთმა გმირმა ინგლისური ცხოვრება გოლების წვიმით დაიწყო, მაგრამ თანდათან ჩრდილში გადგა და ბოლო დროს შინ დაბრუნებაზეც დაიწყო ფიქრი.

„გასულ ზაფხულს „ლივერპულს“ რომ ეთქვა წადიო, ოღონდ აქაურობას მოვცილებოდი და ნებისმიერი მიმართულებით გავიქცეოდი, მაგრამ კლუბმა არ გამიშვა და მეც მუხლჩაუხრელ შრომაზე გადავერთე“ — იგონებს ჩეხი ახლო წარსულს. დღეს იგი რიხიანადაა და სწამს, რომ ეროვნულ გუნდში, ლიტვასა და შოტლანდიასთან თამაშებზე ადგილი დაჯავშნული აქვს.

„ორი ძნელი მატჩი გველის, მაგრამ თუ გავიმარჯვებთ, დიდი შანსია, რომ ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ“.

2000 წელს პატრიკ ბერგერი მხოლოდ 26 წლის იქნება და იქნებ „ლივერპულს“ კიდევ ოთხი წლით გაუფორმოს კონტრაქტი.

„ჩეხ ადამიანს უცხოეთში გამდიდრება შეუძლია, ამიტომაც ბევრი ჩემი თანამემამულე ფეხბურთელი ცდილობს „ლივერპულში“, „ლაციოში“ ან ვთქვათ „ატლეტიკო მადრიდში“ მოეწყოს. ჩეხეთში საუკეთესო გუნდები პრაღის „სლავია“ და „სპარტა“ არიან, მაგრამ ხომ ხედავთ, ევროშეჯიბრებებს ადრევე ეთიშებიან. ჩეხეთის ეროვნულ გუნდში 18 კარგი ფეხბურთელია, რომელთაგან, თუ არ ვცდები, 11 უცხოეთში თამაშობს“.

ბერგერი იმედოვნებს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გაწაფული ფეხბურთელიებისგან ერთსულოვანი და ძალიან საინტერესო გუნდის შეკვრა შეიძლება. იქნებ განმეორდეს კიდეც მისი კარიერის საუკეთესო მომენტი: ევროპის ჩემპიონატის ფინალი, სადაც გოლი გაიტანა.

„ევრო 96 კარგად მაგონდება, რადგან ძალიან ძნელი ჯგუფიდან გავედით, თანაც ფინალში გოლი გავიტანე, ჯამში კი ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. ევრო 2000-ზე მეტის იმედი მაქვს“ — დასძენს ფეხბურთელი, რომელსაც საზარდულის ტრავმის გამო გუშინ ბელგიასთან ამხანაგურ შეხვედრაში არ უთამაშია.

ვაის გაეყრები. უის შეეყრები

არგენტინელი ფეხბურთელები ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს კვლავ გაფიცვისკენ მოუწოდებენ. რამდენიმე დღის წინ არგენტინის სახალხო მსაჯულმა ვიქტორ პეროტამ დღეს ბუენოს აირესის ორ დიდ კლუბ — „ბოკა ხუნიორსსა“ და „რივერ პლეიტს“ შორის გასამართი ამხანაგური მატჩის გაუქმება ბრძანა, ვინაიდან ქვეყნის სტადიონებზე გახშირდა ხულიგნობა და ქომაგთა აღვირახსნილი მოქმედება.

გახსოვთ, ალბათ, არგენტინაში მსგავსი გაფიცვები შარშანაც ეწყობოდა. მაშინაც ვაიგულშემატკივრების გამო. ისევე, როგორც დღეს, საფეხბურთო მატჩების შეჩერება მაშინაც ვიქტორ პეროტამ მოითხოვა და დღევანდელის დარად, სასამართლოს გადაწყვეტილებას ფეხბურთელთა და ბევრი კლუბის პროტესტი მოჰყვა.

როდესაც არგენტინაში ფეხბურთელები იფიცებიან და საფეხბურთო მატჩები არ იმართება, ეს რევოლუციის მომასწავებელია. არგენტინაში ფეხბურთს ეთაყვანებიან. ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოახდინოს ათიათასობით ქომაგმა, როცა მათ ეს უდიდესი სიამოვნება მოაკლდებათ.

ყველაფერს მაინც დასაწყისისკენ მივყავართ. თუ არგენტინის სახალხო სასამართლო გულშემატკივართა ხულიგნობისა და უსაქციელობის აღკვეთის მიზნით ქვეყნის ჩემპიონატის მატჩების გაუქმებას ბრძანებს (პეროტას განაჩენი ლიბერტადორესისა და კონტინენტის სხვა საკლუბო თასის გათამაშებას არ ეხება), თავისდაუნებურად აუტკივარ თავს იტკივებს. ჯერ ერთი, ფეხბურთელებს გაფიცვისკენ უბიძგებს, მეორეც, გახელებული გულშემატკივრები დემონსტრაციებს არ მოერიდებიან. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამის პრეცედენტი არგენტინაში უკვე იყო.

— მდგომარეობა თანდათან აუტანელი ხდება. ბევრი ვარიანტი განვიხილეთ, მაგრამ ყველაზე მისაღებად სწორედ ეს გვეჩვენა. ქომაგები როგორმე უნდა მოვთოკოთ. ამ ხალხს გულშემატკივრობის კულტურა დაკარგული აქვს. ასე არ შეიძლება. იმედია, ჩვენი გადაწყვეტილება მათ დააფიქრებთ — განაცხადა პეროტამ.

დაუფიქრდებიან თუ არა გულშემატკივრები თავიანთ საქციელს, ძნელი სათქმელია. ფაქტი ისაა, რომ ადრე, როცა არგენტინის სახალხო სასამართლომ ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო, ბუენოს აირესში, სადაც ქვეყნის უძლიერესი კლუბებია, არეულობამ და ქომაგთა შორის დაპირისპირებამ იმატა, თანაც თუ ადრე ისინი ერთმანეთის სტადიონზე ებრძოდნენ, ამჯერად მათი ბრძოლის ველი ქუჩა გახდა.

...შარშან არგენტინის სტადიონებზე გულშემატკივართა შეხლა-შემოხლას 12 (თორმეტი) ადამიანი შეეწირა. ეს მართლაც რომ აუტანელია.

გარითობა, გოლები, ჭორები

„რომარიო „ფლამენგოს“ დაუბრუნდა“ — წერდა „უეტო ე გლობო“, ბრაზილიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გაზეთი.

„ის ისევ ის ძველი რომარიოა“ — ასე გამოეხმაურა უძლიერესი თავდასმხმელის გოლებს „უნიაო დე მონდიალი“, პრესის კიდევ ერთი წარმომადგენელი.

რომარიო, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ახლა კი ბრაზილიაში ყველაზე პოპულარული კლუბის „ფლამენგოს“ უპირველესი თავდამსხმელი, ქვეყნის ჩემპიონ „კორინთიანსთან“ მატჩში შეუდარებელი იყო.

რიო-სან პაულუს ტურნირის მეორე ჯგუფში, სადაც „ფლამენგო“ და „კორინთიანსი“ თამაშობენ, დაძაბული ვითარებაა. შემდეგ ეტაპზე გასვლა ჯგუფის ლიდერ „სან პაულუს“ განაღდებული აქვს, აი, „ფლამენგო“ კი მეორე ადგილისთვის „ბოტაფოგოს“ ებრძვის. შემდეგ ეტაპზე ჯგუფიდან ორი საუკეთესო კლუბი გადის.

„ფლამენგო“ ქვეყნის ჩემპიონს, მაგრამ წლეულს აშკარად დაუძლურებულ „კორინთიანსს“ სტუმრობდა. რომარიომ სწორედ იქ გაიბრწყინა. სტუმრებმა 3:0 მოიგეს, შეუდარებელმა ფორვარდმა ორი ულამაზესი გოლი გაიტანა.



რომარიო

— ის უდიდესი თავდამსხმელია, შესანიშნავი. მისი იმედი მე ყოველთვის მქონდა. მართალია, ბოლო ხანებში სათანადოდ ვერ ირჯებოდა, მაგრამ დღეს თავადაც დარწმუნდებოდით მის სიძლიერეში — განაცხადა „ფლამენგოს“ მწვრთნელმა მარიო ზაგალომ, კაცმა, რომელმაც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე რომარიოსთვის ნაკრებში ადგილი ვერ გამონახა. სხვათა შორის, რაც იგი შეუდგა „ფლამენგოს“ წვრთნას, გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო.

პირველი გოლი რომარიომ მას შემდეგ გაიტანა, რაც ორი მეტოქე მოატყუა, მერე კი წინ გამოსული მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. მეორე გოლიც არანაკლებ ლამაზი იყო — სამი მოტყუებული მცველი და მეკარის ფეხებშუა გაძვრენილი ბურთი.

რომარიო „ფლამენგოს“ დაუბრუნდა, არადა, ორი-სამი კვირა პრესა მის კრიტიკაში იყო. საახალწლოდ თავდამსხმელმა რიო დე ჟანეიროს ფეშენებელურ რაიონში ახალი ღამის კლუბი გახსნა და მას შემდეგ სტუმრებს ვერ აუდიოდა. ჟურნალისტებსაც საქმე მიეცათ — რომარიოს და მის მეგობარ გოგონა კარლას მოსვენებას არ აძლევდნენ და თუ ხელი მიუწვდებოდათ, მასზე ჭორაობდნენ. მერე, როცა 33 წლის გახდა, ფეხბურთელმა დიდი მიღება მოასწრო და პრესაც წერილებით აჭრელდა, აწი რომარიო ფეხბურთს გასართობად თუ ითამაშებსო.

ჭორი ჭორად დარჩა, პროგნოზი პროგნოზად. რომარიო ბრწყინვალედ დაბრუნდა.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ვითას მოსაგები როდის წაუგია?!

ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

მაკაბი — ვითა. მეტოქის დამარცხებაში ვითელმა ნუგზარ კოკოლიშვილმა (ბურთით) ყველაზე დიდი წილი დაიდო

9 თებერვალი თბილისი ვერის ბაღი	14 ტური

მაკაბი 31:29 ვითა

I ტაიმი 40:54

მაკაბი: ი. ბერიშვილი (21), რიჟინაშვილი (9), ტალაბაძე (10), მჭედლიშვილი (4), ფერაშვილი (29); ლასარეიშვილი (8), ფიცხელაური

ვითა: ჩუბინიძე (11), აბრამიძე (17), კოკოლიშვილი (23), ორმოცაძე (22), ახალკაცი (4); ვაშაკიძე (13), დავითულიანი, ჭირაქაძე (3)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: მურმან ქურიძე

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაჰყრიან ეს გუნდები ერთმანეთს თავიანთი არსებობის მანძილზე და ახლაც მერამდენედ შეხვდნენ, მაგრამ ვერავინ გაიხსენებს, რომ ექვსგზისჩემპიონებს მაკაბელებთან ოდესმე ფეხი დასცდენოდეთ, ანაც პირიქით, „მაკაბის“ გამარჯვებულის სიამაყით დაეტოვებინოს მოედანი. ასეთი რამ არასოდეს მომხდარა და იმიტომ.

„ვითა“ — ეს ის სიტყვაა, რომელსაც გულშემატკივარი შინაურ ბურთაობაზე მუდმივ წარმატებასთან, მარად ჩემპიონობასთან აიგივებს. ყოველივე თავისით არ მოსულა, ეს, თავის მხრივ, მუხლჩახრელი შრომის ნაყოფია. და კიდევ, ამ გუნდს დანარჩენებისგან გამარჯვებისადმი დაუოკებელი სწრაფვა გამოარჩევს.

ვის-ვის და „ვითას“ ნაღდად არ ესწავლება, რა და როგორ აკეთოს. ამაში, ბუნებრივია, მათ სათამაშო დისციპლინას, სამოქმედო სტრატეგიას ვგულისხმობთ. ჩემპიონებმა საკუთარი თავის ყადრიც სხვაზე მეტად იციან და მეტოქის შესაძლებლობებსაც ზედმიწევნით ზუსტად საზღვრავენ. თუ დასჭირდებათ, მართლაც რომ ჩემპიონურად ათამაშდებიან, შეტევებს უფრო გამართულ სახეს მისცემენ და შესაშური გუნდური ქმედებით უმალ ჩააქნევინებენ ხელს მოწინააღმდეგეს. თუ არადა, მაინცდამაინც თავს არ გამოიდებენ, დინებას მიჰყვებიან და მშვიდად, აუღელვებლად მიიყვანენ შეხვედრას სასურველ შედეგამდე.

ამას უკვე ქომაგიც მიეჩვია. ყველამ იცის, რომ „ვითა“ მოულოდნელად, სხვანაირად რომ ვთქვათ, „მოსაგებ თამაშს“ არ წააგებს. სუსტთან არ წაიფორხილებს, ძლიერს ჩვეულად გაუმკლავდება...

ამხელა შესავალი ტყუილად როდი დაგვჭირდა. ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გუშინდელი მატჩის შინაარსსაც ასახავს. აქეთ მუდამ სტაბილურად მოთამაშე „ვითა“ იდგა, იქით კიდევ ყოველთვის „პოტენციაგამოუყენებელი“ „მაკაბი“, რომელსაც წარმატების თვითონაც არ სჯეროდა.

სცენარიც ისე წარიმართა, როგორც მოსალოდნელი იყო. ჩემპიონმა საწყისი წუთებიდანვე იმძლავრა და აბრამიძის წყალობით დაწინაურდა კიდეც. მამუკას ყველაფერი გამოსდიოდა, სწრაფი გარღვევები, საშუალო და შორი მანძილიდან სროლები და „ვითას“ პირველი ცხრა ქულაც თავის წილად მოინაგრა. „მაკაბის“ ზონური დაცვა მომხვდურთ ვერაფრით უმკლავდებოდა და ისინიც პერსონალურ მეურვეობაზე გადაეწყვნენ, შეტევებში კი გამოცდილ ფერიაშვილს მიენდვნენ, რომელიც არცთუ იშვიათად მიზანსაც აღწევდა. იოლი დაწინაურებით დაარხეინებული „ვითა“ შესამჩნევად მოეშვა, რაც თავდაპირველად დაცვაში თამაშს დაეტყო. ყოველივე მეტოქეს არ გამოჰპარვია და მაკაბელები გულმოდგინედ შეუდგნენ სხვაობის შემცირებას. თავისიანების წინამძღოლობა ირაკლი ბერიშვილმა ითავა და ამას წარმატებითაც გაართვა თავი — ზუსტი სროლებით ჯერ წონასწორობა აღადგინა, შემდეგ კი ფერიაშვილი დატოვა სასურველ პოზიციაში. ამ უკანასკნელის ნასროლიც უტყუარი იყო და ჰა, „მაკაბი“ წინაც გავიდა 31:29.

ეს ის დროა, როცა ტაიმის გასრულებამდე რვა წუთიღა რჩება და აი ჩემპიონებმა გამოფხიზლება იკადრეს. უფრო სწორად, მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ არ დაანება მათ მოდუნება, წუთშესვენება აიღო და შეგირდებს სიფხიზლისკენ მოუწოდა. მას სიტყვა დაუფასდა და ვითელებიც ჩვეულად ათამაშდნენ. კოკოლიშვილ-ორმოცაძის დუელი შეუჩერებელი შეიქნა, მათზე მეტოქე გუნდის მცველები ხშირად ჯარიმდებოდნენ და „ვათას“ თავდამსხმელებიც აუღელვებლად იყენებდნენ პერსონალურებს. ჩემპიონებმა ათქულიან უპირატესობას მიაღწიეს. თითქოს ჩამორჩენილებს ეს არ ეყოფოდათ და იქვე მათი ერთ-ერთი ლიდერი დავით ტალაბაძე მეოთხედ ჯარიმდება, რაც მაკაბელთა დაცვით რიგებში უფრო მეტ აუთვისებელ სივრცეებს წარმოშობს. ამას „ვითა“ თავის სასარგებლოდ იყენებს და ტაიმის ბოლოს სხვაობაც საგრძნობი ხდება.

მეორე ნახევარი მთლიანად ვითელთა კარნახით წარიმართა. მათ თავიდანვე ოცქულიან უპირატესობას უწიეს და მეტოქეს საქმე ნაადრევად მოუთავეს. მნიშვნელოვანი და ყურადღებამისაქცევი მეტი არც არაფერი მომხდარა, გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა. ერთი ეგ არის, ალექსანდრე ფერიაშვილმა ჩატენა გულის მოსაფხანად, მაგრამ საქმე შორს აღარ წასულა...

გიორგი ბიკაშვილი

ცაგარეიშვილმა აკოლაშვილი სდასუსთვის შემოინახა

9 თებერვალი თბილისი ვერის ბაღი	14 ტური

ასკ 81:93 სტუ

I ტაიმი 43:54

ასკ: აკოლაშვილი (26), ფსუტური (17), ჩხაიძე (10), გრძელიშვილი (4), ნუცუბიძე (5); პაპასკირი (3), გელაშვილი (12), ნათაძე (2), კიკაბიძე (2), უჩუმბეგაშვილი, ჭყონია

სტუ: ტუღუში (17), გაგნიძე (16), ლოსაბერიძე (18), ცქიტიშვილი (8), ოთიურიძე (24); ჩავლეიშვილი (2), სუხიშვილი (4), ნაცვლიშვილი (4), მოისწრაფიშვილი, ჩერქეზიშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

დეგეგეტი: როლანდ ხომერიკი

ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი მოედანზე მეტად თავდაჯერებული გავიდა, თუმცა პირველი ტაიმის 12 წუთი მშვენიერი მაგალითი იყო იმისა, რომ ნებისმიერი მეტოქე ანგარიშგასაწევია. მატჩი არმიელებმა მართლაც შთამბეჭდავად დაიწყეს, მეტოქეს დალაგებული და კარგად შეკრული ზონური დაცვა შესთავაზეს, მაგრამ ანგარიში მაინც სტუ-მ გახსნა — ლაშა ლოსაბერიძემ მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ პირველივე შეტევა დააგვირგვინა. ამათ ასკ-ის ლიდერმა დავით აკოლაშვილმა უპასუხა. შეხვედრის დებიუტი ერთობ საინტერესო გამოდგა. ახლა ოსიურიძემ ივარგა და კვლავ დავით აკოლაშვილის სამიანი. 5:4 — წინ არმიელები არიან. სტუდენტებმა მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს, განსაკუთრებით აკოლაშვილს მეურვეობდნენ, მაგრამ ასკ-ს პირველი შვიდი ქულა სწორედ დავითმა მიითვალა.

სტუ ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდა, პირველი ოთხი წუთის მანძილზე იგი მდევრის როლში აღმოჩნდა და მხოლოდ მეექვსე წუთზე, ოთიურიძის სროლის შემდეგ გაათანაბრა ანგარიში. არმიელები თავდაუზოგავად იბრძოდნენ, აკოლაშვილს პაპასკირმა და ჩხაიძემაც მიბაძეს და გუნდი ოთხი ქულით კვლავ დაწინაურეს 17:11.

სტუ-ს მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა ტაქტიკა შეცვალა — შეტევაში ყველა პასს ცენტრებს — ვასილ ოთიურიძესა და ნიკა ცქიტიშვილს აწოდებდნენ. მე-12 წუთზე ტუღუშმა სტუ დააწინაურა კიდეც.

სტუდენტებმა თამაში დაალაგეს, არმიელებს გააზრებული კონტრშეტევები დაუპირისპირეს და სამი უპასუხო ორქულიანით საგრძნობლად დაწინაურდნენ. აკოლაშვილმა კვლავ გაიბრწყინა ჩვეული სამიანით, იგი თავისი გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. პირველ ნახევარში დავითმა 8 სროლიდან ყველა ზუსტად შეასრულა, გარდა ამისა, ეფექტური პასებიც არიგა. მიუხედავად ლიდერის კარგი თამაშისა, არმიელთა მწვრთნელმა ზაზა ცაგარეიშვილმა აკოლაშვილს მაინც სათადარიგოთა შორის მიუჩინა ადგილი.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ასკ-ს ცენტრი ბექა ნუცუბიძე მეოთხედ დაჯარიმდა, ბუნებრივია, დაცვაშიც ველარ აქტიურობდა და ტანმაღალ სტუ-ელებს ფარქვეშ თამაში გაუიოლდათ. ტაიმის მიწურულს მატჩის სადავეებს მთლიანად სტუდენტები დაეუფლნენ და შესვენებაზე 11-ქულიანი უპირატესობით წავიდნენ.

მეორე ტაიმი ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის სრული უპირატესობით დაიწყო. ახალგაზრდა არმიელები ველარაფერს ახერხებდნენ. ისინი თავდასხმაში უმეტესწილად სცოდავდნენ და მეტოქეს სწრაფი შეტევების განხორციელების საშუალებას აძლევდნენ. კარგად მოქმედებდა სტუელი გაგნიძე, რომლის ორქულიანის შემდეგ სტუდენტთა უპირატესობამ 15 ქულას მიაღწია. მერე კი ისევ დავით აკოლაშვილმა გამოიჩინა თავი, ორი სამქულიანი მოათავსა და თავისიანებს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა. თუმცა მწვრთნელმა ჩვენთვის გაუგებარი მიზეზით იგი ისევ შეცვალა. მატჩის შემდეგ ზაზა ცაგარეიშვილმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა — აკოლაშვილის გარდა თამაში არავის წაუვიდა, მატჩი თითქმის წაგებული იყო და მომდევნო შეხვედრაში საბრძოლველად შემოვინახეთო დავითის მოედნიდან გასვლამ ასკ სულ გატეხა. მეტოქე კი პირიქით, ანგარიშს ზრდიდა და მეორე ნახევრის შუაგულში არმიელები 20 ქულითაც ჩამოიტოვა მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გარკვეული იყო.

მეორე ტაიმის მეთორმეტე წუთზე დარბაზში შუქი ჩაქრა — პირველი ტაიმისგან განსხვავებით, თამაში უინტერესო გახდა, დაახლოებით ოთხი წუთის მანძილზე მეტოქეთა კალათში ბურთი არ ჩავარდნილა. შეხვედრის მიწურულს არმიელებმა შეძლეს ანგარიშის შემცირება. თუმცა სტუდენტებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს და ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს.

ზურაბ გონაშვილი



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

ასკ — სტუ. სტუდენტმა ვასილ ოთიურიძემ (10) არმიელებს ყველაზე მეტი, 24 ქულა ჩაუგდო

რეგულარული ჩემპიონატი

ჰილმა რეკორდი დაიმყარა, დეტროიტმა საეჭვოდ მოიგო



REUTERS ჰიუსტონიდან

ჰიუსტონი — დენვერი. ჰაკიმ ოლაჯუონისთვის დენვერელ დანი ფორსტონს (15) რა უნდა დაეკლო...

8 თებერვალი

სან ანტონიო 75:80 ლეიკერსი

სან ანტონიო: ჯონსონი (9), ჯეკსონი, ელიოტი (11), დანკანი (21), რობინსონი (11); კერი (10), ელი (9), კერსი (4), დანიელსი, კინგი

ლეიკერსი: ფიშერი, ჯონსი (21), ბრაიანტი (19), ჰორი (4), ონილი (26); ჰარპერი (9), რუქსი (1), კემპბელი, ბლაუნტი

ყველა დიდი ინტერესით ელოდა ლიგის ორი უდიდესი ცენტრის — სანანტონიოელი დევიდ რობინსონისა და ლეიკერსელი შაკილ ონილის შერკინებას. ორთაბრძოლა შედგა, ლეიკერსმა გადალახა დაძაბული წინააღმდეგობა და სძლია სფურზს, მაგრამ ონილმა ერთი თავით აჯობა რობინსონს. 30 წელს კარგა ხნის გადაცილებული ადმირალი (რობინსონის მეტსახელია) ძველებურად ვეღარ ირჯება, წინანდებურად ვეღარ აწიოკებს მეტოქეს და ვეღარც უამრავ ქულასა და მოხსნას უყრის თავს. ამაში, ალბათ, ახალგაზრდა სუპერვარსკვლავი ტიმ დანკანიცაა „დამნაშავე". მის გვერდზე ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი მოედნის სრული ბატონ-პატრონი ვეღარაა. რობინსონმა 36 წუთში მხოლოდ 11 ქულა და 7 მოხსნა შეაწია გუნდს, რაც გაცილებით ნაკლებია ონილის მონაგარზე (26 ქულასთან ერთად 13 მოხსნა). ეს უკანასკნელი კი მართლაც მშვენიერ ფორმაშია და ლიგის ბომბარდირობას უმიზნებს, რაც მისი შესაძლებლობების პატრონისთვის ძნელი არ უნდა იყოს. ლეიკერსის ცენტრს ახლაც მშვენივრად აუბეს მხარი კობი ბრაიანტმა და ედი ჯონსმა.

თვითონ თამაში ერთობ დაძაბული გამოდგა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა მნიშვნელოვნად დაწინაურება, მატჩის ბოლოს კი სტუმრებმა იძალეს. 28 წამით ადრე რობერტ ჰორიმ ორი საჯარიმო ჩაგდო და 78:75 დააწინაურა სტუმრები. ტეხასელებს საკმაო დრო ჰქონდათ მატჩის ხსნისთვის, მაგრამ შეტევა ჩაფლავეს და შონ ელიოტს ისღა დარჩენოდა, კობი ბრაიანტზე დაჯარიმებულიყო. მანაც მატჩს წერტილი დაუსვა და სან ანტონიოს ორი შინაური მოგების შემდეგ სეზონში პირველი მარცხი აგემა.

კლივლენდი 89:95 ინდიანა

კლივლენდი: კემპი (26)

ინდიანა: მილერი (28), მულინი (22)

მართალია, კლივლენდი შარშანდელი ფლეი ოფის პირველი რაუნდიდან სწორედ ინდიანამ გამოაძევა, მაგრამ ლარი ბერდის გუნდს კლივლენდში რეგულარულ ჩემპიონატში ზედიზედ ხუთჯერ წაეგო, ახლა კი გამოცდილმა პეისერზმა ნავსი გატეხა ახალგაზრდა „მხედრებთან". დასაწყისში იყო დიდი ბრძოლა და პირველი ნახევარი თანაბარი ანგარიშით — 44:44 დასრულდა, მაგრამ შემდეგ სტუმრებმა გაილაღეს. მათმა ლიდერმა რეჯი მილერმა მეორე ნახევარში 20 ქულა მიითვალა და გამოცდილი მოთამაშეების — ფრთა კრის მულინისა და გამთამაშებელი მარკ ჯეკსონის (10 ქულა, 10 პასი) შემწეობით მესამე მეოთხედში გადაყვიტა მატჩის ბედი. შეხვედრის ბოლოს კლივლენდი ბევრს ეცადა, მაგრამ რამდენიმექულიანი სხვაობა მისთვის გადაულახავ ბარიერად იქცა და საბოლოოდ სეზონის ზედიზედ მესამე მატჩიც დაუთმო მეტოქეს.

შარლოტი 94:91 მაიამი

შარლოტი: რიდი (19), უესლი (18 ქულა, 12 პასი)

მაიამი: ჰარდვეი (32), მურნინგი (29 ქულა, 11 მოხსნა)

„შარლოტ ჰორნეტსმა" ფილადელფიასთან და მილუოკისთან მარცხის შემდეგ ძალა მოიკრიბა და აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტი მაიამი დაამარცხა, თან ისე, რომ არ ჰყავდა ლიდერები გლენ რაისი და ენტონი მეისონი. ამათ არყოფნაში ლიდერობა მოულოდნელად იტვირთა ერთ დროს არცთუ ურიგო მოთამაშემ, ბოლო წლებში კი შარლოტის უიმედო სათადარიგომ ჯეი არ რიდმა. შარშან მატჩში საშუალოდ 4,9 ქულის გამკეთებელმა რიდმა 19 ქულას მოუყარა თავი და მატჩის ბოლოს, რომელიც ერთობ დაძაბული გამოდგა, პატარა გმირობაც ჩაიდინა — 72 წამით ადრე ნახტომში ჩააგდო კაუჭი და 90:88 გახადა. შემდეგ ბრაუნის ერთ საჯარიმოს ორით უპასუხა 42 წამით ადრე. მერე კი თავისივე აცილებული ბურთი მოხსნა და დევიდ უესლის პასი მისცა. მაიამელები დაჯარიმდნენ, პასუხად ორი საჯარიმო მიიღეს და წყალში გადაყარეს მურნინგისა და ჰარდვეის გარჯა.

ორლანდო 107:90 ბოსტონი

ორლანდო: ჰარდვეი (28), ანდერსონი (26)

ბოსტონი: უოლკერი (20)

ფლეი ოფის საგზურის ორი მაძიებელი გუნდის შეხვედრაში გამარჯვება სამხრეთულ ორლანდოს დარჩა. ბოსტონმა ტრავმის გამო ერთ-ერთი ლიდერი — რონ მერსერი მოისაკლისა. უმისოდ კი ბოსტონურმა უკანა ხაზმა ორლანდოსთან სრული კრახი განიცადა, პენი ჰარდვეი და ნიკ ანდერსონი მათთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცნენ. ასოციაციის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა მაყურებელს თავი მხოლოდ მესამე მეოთხედის დასაწყისის 15:4 მოგებით დაამახსოვრა, შემდეგ კი ყურები ჩამოყარა და „მეჯიქს" იოლად ჩაბარდა.

დეტროიტი 106:103 ვაშინგტონი

დეტროიტი: ჰილი (46), სტეკჰაუზი (29)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (26 ქულა, 11 პასი), სტრიკლენდი (24), ჰოვარდი (23)

მატჩი დამთავრდა და გრანტ ჰილმა თანაგუნდელთა მილოცვები მიიღო. ის თამაში მართლაც მისი იყო. ლიგის უძლიერესმა ფრთამ 46 ქულა მიითვალა და რვა ქულით გააუმჯობესა თავისი კარიერის რეკორდი. ჰილის შემწეობით დეტროიტმა მოახერხა ზედიზედ მესამედ ეზეიმა გამარჯვება. არადა, ვაშინგტონმა დიდი ომი გაუმართა მასპინძელს და იღბალი რომ არა, ძნელი სათქმელია, შეხვედრა როგორ დამთავრდებოდა. 14,5 წამი რჩებოდა მატჩის დასრულებამდე, როდესაც სტუმართა ერთ-ერთი ლიდერი ჯუონ ჰოვარდი ჰილზე დაჯარიმდა. ამან დიდი დავა-კამათი გამოიწვია, რადგან ეს უკანასკნელი ჰილს თითქმის არ შეხებია. არბიტრმა ფილ რობინსონმა, რომელიც ლიგაში პირველ თამაშს სჯიდა, ჯარიმა რომ დანიშნა, თვით ჰილსაც კი გაუკვირდა, მაგრამ საჩუქარი შეიფერა და ორივე საჯარიმოს ჩაგდებით თავისიანები 104:103 გაიყვანა წინ. ორი წამით ადრე კი მისმა თანაგუნდელმა ჯოდ ბიუჰლერმა ასევე საჯარიმოებით მატჩის ბოლო ქულები მიითვალა.

ჰიუსტონი 99:80 დენვერი

ჰიუსტონი: პიპენი (24 ქულა, 13 მოხსნა)

დენვერი: მაკდაიესი (14 ქულა, 14 მოხსნა)

დენვერს არც ახლადშეძენილმა ვარსკვლავებმა — ანტონიო მაკდაიესმა და ნიკ ვან ექსელმა უშველა და ზედიზედ მესამედ დამარცხდა. ამ მატჩში მაკდაიესს თუ კიდევ არა უშავდა, ნიკ ვან ექსელმა სულ ჩაფლავა მატჩი და მხოლოდ 7 ქულით დაკმაყოფილდა. პიპენს კარგად აუბეს მხარი ბარკლიმ (15 ქულა, 19 მოხსნა) და ოლაჯუონმა (14 ქულა, 13 მოხსნა). მართალია, დენვერმა მოახერხა, მასპინძელს ბოლო მეოთხედში დასწეოდა, მაგრამ ბარკლიმ 12 ქულა გააკეთა და ბოლო 10 წუთი 23:4 მოაგებინა ჰიუსტონს.

ვანკუვერი 76:95 პორტლენდი

ვანკუვერი: მასენბურგი (24)

პორტლენდი: საბონისი (24 ქულა, 11 მოხსნა)

მშვენივრად გაისარჯა პორტლენდის ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი. მართალია, თავისი ვანკუვერელი მეურვის, ტონი მასენბურგისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი დიდად არ შეუშლია. თუ პირველ ტაიმში ვანკუვერი რაღაც წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეს, მეორე ნახევარში სულ დაიბნა და მხოლოდ 29 ქულას დასჯერდა. ლიტველს კარგად დაეხმარა გოლდენ სტეიტიდან ახალგადმობარგებული ჯიმ ჯექსონი, რომელმაც თავის ანგარიშზე 17 ქულა ჩაიწერა.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ფილადელფია	2	0	100
ორლანდო	2	1	66,7
ნიუ ჯერსი	1	1	50,0
ბოსტონი	1	2	33,3
ვაშინგტონი	1	2	33,3
მაიამი	1	2	33,3
ნიუ იორკი	0	2	0

ცენტრალური დივიზიონი

დეტროიტი	3	0	100
მილუოკი	1	0	100
ატლანტა	2	1	66,7
ინდიანა	2	1	66,7
ტორონტო	1	1	50,0
ჩიკაგო	1	1	50,0
შარლოტი	1	2	33,3
კლივლენდი	0	3	0

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა	2	0	100
სან ანტონიო	2	1	66,7
ჰიუსტონი	2	1	66,7
მინესოტა	1	1	50,0
დალასი	1	1	50,0
ვანკუვერი	0	2	0
დენვერი	0	3	0

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ფინიქსი	2	0	100
სიეტლი	2	0	100
ლეიკერსი	2	1	66,7
საკრამენტო	1	1	50,0
პორტლენდი	1	1	50,0
კლიპერსი	0	2	0
გოლდენ სტეიტი	0	2	0

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ამხანაგური მატჩები

10 თებერვალი

პოლონეთი — ფინეთი (მალტაში)	1,7	3,0	4,7
ტუნისი — შვედეთი	2,8	2,9	2,3
ხორვატია — დანია	1,5	3,3	6,0
ირლანდია — პარაგვაი	1,7	2,9	5,0
ჰოლანდია — პორტუგალია (პარიზში)	1,9	2,8	3,8
იტალია — ნორვეგია	1,5	3,2	6,5
ინგლისი — საფრანგეთი	2,0	2,8	3,5
არგენტინა — მექსიკა (ნეიტრალურზე)	1,6	3,0	5,6

ჰოკეი. NHL

10 თებერვალი

ტორონტო — კაროლინა	1,3	4,4	4,0
ტამპა ბეი — სენტ ლუისი	3,0	4,4	1,5
ჩიკაგო — სან ხოსე	2,0	4,4	2,0
ფინიქსი — ლოს ანჯელესი	1,2	4,4	5,0
ანაჰაიმი — ფილადელფია	2,4	4,4	1,7

11 თებერვალი

ბუფალო — მონრეალი	1,4	4,4	3,4
ოტავა — ფლორიდა	1,4	4,4	3,4
პიტსბურგი — ვანკუვერი	1,3	4,4	4,0
დეტროიტი — ედმონტონი	1,6	4,4	2,7
სენტ ლუისი — სან ხოსე	1,5	4,4	3,0
ლოს ანჯელესი — ფილადელფია	3,0	4,4	1,5

ჩემპიონთა თასი

ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
მანჩესტერი	3,0
ბაიერნი	4,0
რეალი	5,0
კაიზერსლაუტერნი	10,0
დინამო	10,0
ოლიმპიაკოსი	50,0

თასების თასი

ლაციო	2,0
ჩელსი	2,0
მალიორკა	3,0
ლოკომოტივი	8,0
მაკაბი	15,0
ვარტექსი	50,0
ვალერენგა	50,0
პანიონიოსი	50,0

უეფას თასი

რომა	3,0
პარმა	3,0
მარსელი	4,0
ბორდო	5,0
სელტა	5,0
ატლეტიკო	6,0
ბოლონია	6,0
ლიონი	10,0

ინგლისი		ჰოლანდია	
მანჩესტერი	1,5	ფეიენოორდი	1,4
ჩელსი	2,0	აიაქსი	2,2
არსენალი	3,0	ვიტესი	5,0
ასტონ ვილა	8,0	ეინდჰოვენი	7,0
ლივერპული	8,0	**პოლონეთი**	
გერმანია		ვისლა	1,1
ბაიერნი	1,01	ლეგია	4,0
ლევერკუზენი	8,0	ლეხი	8,0
იტალია		გურნიკი	8,0
ფიორენტინა	1,8	ვიძევი	8,0
ინტერი	2,0	**თურქეთი**	
ლაციო	2,5	გალათასარაი	1,4
მილანი	5,0	ფენერბაჰჩე	2,5
პარმა	5,0	ბეშიქთაში	2,5
ესპანეთი		ტრაბზონი	8,0
ბარსელონა	1,5	**შოტლანდია**	
რეალი	2,0	რეინჯერსი	1,1
მალიორკა	4,0	სელტიკი	4,0
ვალენსია	4,0	კილმარნოკი	8,0
სელტა	6,0	**ავსტრია**	
საფრანგეთი		შტურმი	1,7
მარსელი	1,4	რაპიდი	2,0
ბორდო	2,0	გრაცერი	4,0
ბელგია		ლინცერი	8,0
ბრიუგე	1,3	**შვეიცარია**	
გენკი	2,0	სერვეტი	1,8
პორტუგალია		გრასჰოპერი	1,8
პორტუ	1,3	ციურიხი	2,5
बენფიკა	2,2	ლოზანა	4,0
ბოავიშტა	6,0		
სპორტინგი	8,0		

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

ევროთასების მფლობელთა და ქვეყნების ჩემპიონთა კოეფიციენტებზე ფსონები მიიღება სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

სკუდერია ფერარი

მიხაელ შუმახერი

გერმანია

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს კერპენში, გერმანია

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი

ცხოვრობს შვეიცარიაში

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, ბელგიის დიდი პრიზი („ჯორდანი")

მსოფლიოს ჩემპიონი: 1994, 1995 („ბენეტონი")

118 რბოლა, 33 გამარჯვება, 20 პოული, 30 სწრაფი წრე, 526 ქულა.

პრეზიდენტი ლუკა დე მონტეძემოლო

სპორტული ხელმძღვანელი ჟან ტოდტი

ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1950, მონტე კარლო

შასი: ფერარი F 399

ძრავა: ფერარი 048-V-10

საბურავები: „ბრიჯსტოუნი"

603 რბოლა, 119 გამარჯვება, 12 პოული, 12 სწრაფი წრე, 3124 ქულა

მსოფლიოს ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის: 8 (1961, 1964, 1975, 1976, 1977, 1979, 1982, 1983)

მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში 9 (1952, 1953, 1956, 1958, 1961, 1964, 1975, 1977, 1979)



ედი ირვინი

ირლანდია

დაიბადა 1965 წლის 10 ნოემბერს ნიუთაუნარდსში, ჩრდილო ირლანდია

უცოლო, ცხოვრობს კონლიესა და დუბლინში.

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1993, იაპონიის დიდი პრიზი („ჯორდანი")

81 რბოლა, 99 ქულა.

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

გერმანელი იტალიურ ოჯახში

1979 წელს სამხრეთ აფრიკელმა ჯოდი შექტერმა „ფერარის" მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუტანა. ამის შემდეგ „სკუდერიას" პილოტებმა ვერც ერთხელ გაიხარეს ჩემპიონატში გამარჯვებით, არადა, წითელ ბოლიდებს შესანიშნავი პილოტები — ჟილ ვილნევი, დიდიე პირონი, ნაიჯელ მენსელი, ალენ პროსტი, გერჰარდ ბერგერი და ჟან ალეზი მართავდნენ. 1996 წელს „ფერარიში" მიხაელ შუმახერი მიიწვიეს. იმხანად „ფერარი" აშკარად ჩამოუვარდებოდა მეტოქეებს, მომდევნო წლიდან კი იტალიელებმა შუმის ნელ-ნელა შემოუკრიბეს ის ხალხი, ვინაც იგი ორი ტიტულის მოსაპოვებლად „მომართა" — როს ბრაუნის და რორი ბირნის შექმნილი ბოლიდებით შუმიმ ორჯერ სცადა პირველობის მოპოვება, მაგრამ ხელი მოეცარა და წლეულს მესამედ შეუტევს ჩემპიონის ტიტულს.

ახალი ბოლიდი „ფერარიმ" იანვრის ბოლოს წარმოადგინა და მისი გამოცდაც იმავე დღეებში დაიწყო. ეს მოდელი შარშანდლის ლოგიკური გაგრძელება კი გახლავთ, მაგრამ მის კონსტრუქციაში მრავალი ცვლილებაცაა შეტანილი. განსხვავებულია აეროდინამიკა, გაუმჯობესებულია ძრავასა და შასის „ურთიერთშეთანხმებულობა". შარშან „ბრიჯსტოუნის" საბურავებით ჩატარებული ტესტების მერე შეიცვალა შეკიდულობის სისტემა. სრულიად ახალია უკანა ნაწილის აეროდინამიკა, დიფუზორი, ძრავასკენ ჰაერის მიწოდების სისტემა. ბოლიდის წონა 20 კილოთი შემცირდა. ახალია ძრავაც — 048, რომელიც შარშანდელი მოდელის ევოლუციას წარმოადგენს და 750-800 ცხენის ძალისაა.

იმის მიუხედავად, რომ გუნდი გვიან შეუდგა ტესტირებას, ჟან ტოდტი კმაყოფილი გახლავთ: „ახალმა მოდელმა შესანიშნავად ჩააბარა გამოცდა აეროდინამიკურ მილშიც და სტენდებზეც, ასე რომ, იმედი მაქვს, უფრო მძაფრ კონკურენციას გავუწევთ „მაკლარენს".

წინა წლებთან შედარებით უფრო თავშეკავებული გახლავთ მიხაელ შუმახერი, რომელიც გუნდის შანსებს ასე აფასებს: „ავტომობილი მეტად სოლიდურად გამოიყურება, არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ მისი მომზადება დაგვიანდა — „მაკლარენი" ხომ ჩვენს მერე წარმოადგენს თავის ახალ მოდელს. წლეულს ჩემპიონატში გამარჯვების 50-პროცენტიანი შანსი მაქვს. ეს სპორტია და ძნელია ზუსტი პროგნოზირება, მაგრამ „ფერარიში" ყოფნა ოჯახის თუ კლანის წევრობას ჰგავს და ვგრძნობ, რომ მეტი მოტივაცია მაქვს ჩემპიონობისთვის, თანაც წელს უკეთ ვგრძნობ თავს, ვიდრე წინა წლებში".

მისი თანაგუნდელი ედი ირვინი კი გვპირდება, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა გუნდის წარმატებას შეუწყოს ხელი და შეეცდება, კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვოს.

იტალიელთა გუნდი შეუდგა სეზონისთვის მზადებას. „წითლები" ჩემპიონობის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატები არიან, ეს კი მათგან დაუღალავ შრომასა და სრულ მობილიზებას მოითხოვს, რათა შუმიმ მესამე ცდაზე მაინც მიაღწიოს საწადელს.

ალეკო ჯაგუკიანი



ფერარის ბოლიდს მაკლარენების ჯინი სჭირს

სარგებლის არქივიდან

მოგზაურობა საინტერესო იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მიემგზავრება ევროპაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს სამ „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში და საწვრთნელ შეკრებებში. ქართველები მკლავის ძალას პარიზის, ლეონდინგის (ავსტრია) და მიუნხენის ტურნირებში მოსინჯავენ.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ევროპაში ეს ძიუდოისტები იახლა: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), გიორგი რევაზიშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი (ორივე — 66), დავით ნადარაია (73), სოსო ლიპარტელიანი (81), გია გუგავა (90), ივერი ჯიქურაული (100), ალექსი დავითაშვილი, დავით ხახალეიშვილი, რამაზ ჩოჩიშვილი (სამივე — მძიმე წონა). მიუნხენში გუნდს შეუერთდება ლევან ციგრიაშვილი (81).

ამ სამი ტურნირიდან პირველი, პარიზისა, 12-14 თებერვალს გაიმართება.

ჩეხი ვცემე, ფრანგსაც მივაყოლებ!

ჩეხი მოკრივე ჰუსაშეკი კერკეტი კაკალი კი გამოდგა, მაგრამ გიორგი კანდელაკთან მაინც ვერას გახდა. ვარიანელმა მოკრივემ პროფესიულ რინგზე გამართული ოთხი ბრძოლიდან ყველა ნოკაუტით მოიგო, მეხუთეში კი, რომელიც ინგლისში გაიმართა, ქულებით 56:5 სძლია ჰუსაშეკს. გიორგი ამ შეხვედრისთვის ლონდონში კარგა ხანს ემზადებოდა, ჩინებულ ფორმაშიც იყო, მაგრამ მერე ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა და ექიმებმა ფეხზე ექვსი ნაკერიც დაადეს. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ტრავმის გამო კანდელს ბრძოლაზე უარი უნდა ეთქვა. მაგრამ გიორგიმ ჰიპოკრატეს შეფიცულთ ყური არ ათხოვა და რინგზე მაინც გავიდა. რისკმა გაამართლა — ვარიანელმა პროფებში მეხუთე გამარჯვება იზეიმა.

გუშინწინ კანდელაკი ინგლისიდან შინ დაბრუნდა და ჩვენც უმალ შევეხმიანეთ.

— ჰუსაშეკი, როგორც მაფრთხილებდნენ, უხერხული მეტოქე გამოდგა — გვიამბობს გიორგი — მას პროფესიულ რინგზე 28 ბრძოლა ჩაუტარებია და აქედან მხოლოდ ორში დამარცხებულა, რაც მთავარია, არასდროს უგემია ნოკაუტი. პირველ რაუნდში გამიძალიანდა, მერე ჩემი უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა სანოკაუტო დარტყმა მაინც ვერ მოვახერხე, ერთთავად ტანზე მეკვროდა და ხელის გაქნევის საშუალებას არ მაძლევდა. ქულები კი, იცოცხლეთ, ბევრი დავაგროვე და 6-რაუნდიან ბრძოლაშიც გამარჯვებული გამოვედი. ახლა ერთი კვირით ვარინაში დავისვენებ, 17 თებერვალს კი კვლავ ლონდონში გავემგზავრები. 6 მარტს მეექვსე ბრძოლა მაქვს გასამართი, მეტოქე ფრანგი იქნება, ამბობენ, საკმაოდ ძლიერი მოკრივეაო, თუმცა, კარგად იცით, პროფებში სახელის დაგდებას ვაპირებ და ფრანგი კი არა, ვინც უნდა იყოს, ტოლ-სწორად ვეჩხუბები — თავდაჯერებით გვითხრა კანდელაკმა.

სოსო კოტორეიშვილი

ფრთხილად, ვახტანგ!

მკითხველს ალბათ ეხსომება, ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატში საასპარეზოდ რა დაიმედებული წავიდა ქართული დელეგაცია. ჩვენები უმთავრესად ვახტანგ მურვანიძისა ეიმედებოდათ, რომელსაც ათეულში მოხვედრას უგეგმავდნენ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდებოდა. მაგრამ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო და, მურვანიძესაც ნახევარფინალში სწორედ ის „გაუთვალისწინებელი" შეემთხვა: ერთი არაზუსტი მოძრაობა, გაუმართლებელი რისკი და მშვენივრად დაწყებული საქმე მარცხით დამთავრდა.

არადა, ვახტანგმა მართლაც მშვენივრად დაიწყო. შეჯიბრების ფორმულისამებრ, 35 მონაწილე (ამდენივე ფიგურისტი გამოდიოდა ქალთა შეჯიბრშიც) საკვალიფიკაციო ეტაპზე ორ ჯგუფად გაყვეს (ამ გაყოფასთან რეიტინგს კავშირი არა აქვს). ამ ეტაპზე სპორტსმენები საკუთარი სურვილით შერჩეული ანუ ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობდნენ. თავის 18-კაციან ჯგუფში ვახტანგმა მე-7 ადგილი დაიკავა (ზოგიერთი მსაჯისგან მაღალი შეფასებაც დაიმსახურა) და ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა. ამ ეტაპზე ფიგურისტები მოკლე საკალდებულო პროგრამით სრიალებდნენ. ვახტანგს შეეძლო მშვიდად, ურისკოდ ესრიალა და ფინალში ისე გასულიყო, მაგრამ მან და მისმა მწვრთნელმა რატომღაც გარისკეს. ვახტანგმა მოინდომა მაღალი სირთულის ილეთის შესრულება, რომელსაც სპეციალისტები „სამნახევარი პლუს სამის" სახელით მოიხსენიებენ და ... ამას ვახტანგს არავინ სთხოვდა, შეეძლო, არ შეეგდო ბედი სასწორზე, გაცილებით ნაკლები სირთულის პროგრამით ესრიალა და მხოლოდ ფინალში გასვლაზე ეფიქრა, სადაც კვლავ ნებისმიერი პროგრამით ისრიალებდა. მართალია, ჩემპიონი ვერც იქ გახდებოდა, მაგრამ უკეთესი შედეგის ჩვენება ნამდვილად შეეძლო. ასეა თუ ისე, მურვანიძემ გარისკა, ურთულესი ილეთის შესრულება მოინდომა, ნახტომში მოძრაობა ვერ გააკონტროლა და დაეცა.

ამ მარცხის მიუხედავად, მურვანიძე ფინალში მაინც გავიდა, რადგან საჯარიმო ქულები ამის საშუალებას აძლევდა. ამის შემდეგაც რჩებოდა რაღაც შანსი, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 21-ე ადგილზე გავიდა. თბილისის საციგურაო სკოლის დირექტორის ირაკლი ჯაფარიძის აზრით, იმ მარცხმა მურვანიძე ფსიქოლოგიურად გატეხა და ამიტომაც ვერ შეძლო ფინალში უკეთ სრიალი.

ბატონმა ირაკლიმ ისიც აღნიშნა, რომ აშკარაა მურვანიძის პროგრესი. მან საგრძნობლად მოუმატა და ასეთი რანგის ტურნირებში მონაწილეობა დიდ გამოცდილებას შემატებს. ის ჯერ 19 წლისაა და მისი სრიალის სტილი, ოსტატობის დონე სამომავლო იმედს იძლევა. მურვანიძე ამჟამად მოსკოვშია და იქ ვარჯიშობს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც 22-28 მარტს ჰელსინკიში გაიმართება. მანამდე კი 19-21 თებერვალს ტალინის დიდ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს.

სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მურვანიძე ქართველთაგან ეულად ისრიალებს, რადგან ევროპის ჩემპიონატზე 31-ე ადგილზე გასული სალომე ჩიგოგიძე იქ ვერ იასპარეზებს პრაღაში ნაჩვენები დაბალი შედეგების გამო. მურვანიძეს ფინეთში ქართულად დამლაპარაკებელიც ეყოლება: რუსეთის სახელით მოასპარეზე ანტონ სიხარულიძეს მთელი ცხოვრება რუსეთში კი გაუტარებია, მაგრამ ქართულიც ეხერხება და როცა ჩვენებს ხვდება, არც ტრადიციულ ქართულ სალამსა და მოკითხვას ივიწყებს.

ირაკლი თავაძე

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს დავით ჭელიძეს დედის
ვალენტინა ტატიშვილი-ჭელიძის
გარდაცვალების გამო

ავტორული ფოტოებისა

სოფიო ახმეტელი ნაგანოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის მედროშე იყო

თითო «ყაზბეგი» ხომ არ დაგვეღიბა!

ჩვენს სამთო-სათხილამურო სპორტს ლუდი ასულდგმულებს

თუ რომელიმე სახეობას შეუძლია მასობრიობითა და სილამაზით დაიტრაბახოს, მათ შორის სამთო-სათხილამურო სპორტიცაა. ვისაც გული ერჩის, თან რისკიანი და აზარტულია, შედგება თხილამურებზე და საკუთარ თავსაც ასიამოვნებს და სხვებსაც.

ასეთები ჩვენშიც მოიძებნებიან. თვით ჩვენი ბუნებაა ისეთი, სხვანაირად ვერ იქნება. აქეთ ბაკურიანი, იქით გუდაური... ბუნებამ თავად იზრუნა ხელსაყრელი პირობების შექმნაზე. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, დავტკბეთ იმით, რაც უფალმა გვიბოძა, მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ ვერ ვიყენებთ, არ ვუვლით ჩვენს სიმდიდრეს.

სამთო-სათხილამურო სპორტს არც ადრე წყალობდნენ და დღეს ხომ სულაც თვითდინებაზე და კეთილ ადამიანთა ნებაზეა მიშვებული. ეს ახლა, როცა ქვეყანაში მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა და, წარმოდგინეთ, რა იქნებოდა რამდენიმე წლის წინ, სრული განუკითხაობის ჟამს. სწორედ იმ წლებს შეეწირა ზამთრის სპორტის ბევრი სახეობა. სწორედ მაშინ დაინგრა ბაკურიანის ცნობილი ტრამპლინი, ხოლო საციგაო ტრასის დამცავი ბარიერი... შუშად გაზიდეს. მოკლედ, მაშინდელმა არეულობამ ლამის მთლიანად იმსხვერპლა სამთო-სათხილამურო სპორტი, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, კეთილ ადამიანთა წყალობით საბოლოო განადგურებას გადაურჩა. ამ ხალხზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი იმას გეტყვით, რომ ამჟამად ჩვენში ძირითადად სლალომი, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი და სწრაფდაშვება შემორჩა. დამოუკიდებლად ვარჯიშობს ტრამპლინიდან მხტომელი კახა წაქაძე, რითაც ამ სახეობასაც აცოცხლებს.

ზამთრის სახეობათა ფედერაციასაც იგივე პრობლემები აწუხებს, რაც სხვებს. ეს უმთავრესად უფულობა და სპორტული ინვენტარის უქონლობაა. მის ძირითად შემოსავალს საბიუჯეტო თანხები შეადგენს. ეს კი სულ რაღაც 50 ათასი ლარია და რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ თანხიდან შარშან ერთი თეთრიც არ მიუღიათ. არც წლეულსაა იმის იმედი, რომ დაფინანსება გაიზრდება (ინფლაციამ ეს ფული შეიჭლება გროშებად აქციოს), მაგრამ ამჯერად დეპარტამენტმა, შარშანდლისგან განსხვავებით, 12 ათასი ლარი უკვე გაიღო, თუმცა ეს ზღვაში წვეთია. სამაგიეროდ, არიან სპონსორები, რომელთა წყალობითაც არსებობს ეს სახეობა. გოგი თოფაძე და ლევან პირველი — აი, ვინ აცოცხლებს სამთო-სათხილამურო სპორტს. პირველი ფირმა „ყაზბეგისა“ და ამ ფედერაციის პრეზიდენტია, მეორე კი ქართულ-ინგლისური ერთობლივი საწარმო „ანგლოილის“ ხელმძღვანელი გახლავთ. რომ არა ისინი, საქართველოში ზამთრის სპორტი, ალბათ, მხოლოდ მოყვარულებისთვის იარსებებდა.

დღესდღეობით ძველი თაობა წავიდა და სარბიელი ახალგაზრდებს გადაულოცა. თბილისელები სოფიო ახმეტელი, ცოტნე ებრალიძე, ბაკურიანელი გიგლა მახარაშვილი და მესტიელი გოდერძი დადვანი — აი, ვინ მოიყარა თავი საქართველოს ნაკრებში. ვაჟები ძირითადად სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში გამოდიან, ხოლო სოფიო — გიგანტურ სლალომსა და სლალომში. ზაფხულობით ისინი საქართველოში ვარჯიშობენ, ფიზიკურად ძლიერდებიან, ხოლო ზამთრობით ავსტრიასა და იტალიაში ემზადებიან. გარდა ამისა, უამრავ ტურნირში მონაწილეობენ და სარეიტინგო ქულებს აგროვებენ. სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ოლიმპიადასა და მსოფლიოს ჩემპიონატებში საკმარისი სარეიტინგო ქულებია საჭირო. ამჟამად ოთხივე სპორტსმენი შეერთებულ შტატებშია სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. დადვანმა სუპერგიგანტშიც იასპარეზა. სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე მოხვედრის ყველაზე მეტი შანსიც მათ აქვთ ისევე, როგორც კახა წაქაძეს, რომელიც კარგა ხანია, ევროპაში ვარჯიშობს და ასპარეზობს.

შეჯიბრებებზე წასასვლელ ფულს თუ არ ჩავთვლით, ინვენტარისა თუ აღკაზმულობის პრობლემა, სპონსორთა წყალობით, მათ არ აწუხებთ. თოფაძისა და ნაკრების მწვრთნელი გერა ამრამიშვილის პირადი კონტაქტების წყალობით ჩვენს ნაკრებს სავარჯიშო ინვენტარით, ტანსაცმლითა თუ სხვა აუცილებლით ცნობილი ფირმები „კალმარი“, „ნორდიკა“, „ატომიკი“, „ბრიკო“, „როსინელი“ და „მიცუნო“ ამარაგებენ.

დაბოლოს, ერთ სიახლეც — გოგი თოფაძე ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას FIS-თან (საერთაშორისო ფედერაცია) ბაკურიანში ახალი სასტუმროს, სპაგიროსა და სათხილამურო ბილიკების მშენებლობის თაობაზე. აქაურობა უკვე დაზვერეს ჯერ FIS-ის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა, ხოლო შემდეგ საგანგებოდ გამოგზავნილმა ექსპერტმა. სტუმრები აღფრთოვანდნენ, არ გვეგონა, ავსტრია-იტალიის გარდა ევროპაში ასეთი ხელსაყრელი პირობები კიდევ თუ სადმე იყოო.

მოკლედ, უცხოელებმა ბაკურიანი მოიწონეს და FIS-იც საჭირო თანხების გამოყოფაზე დათანხმდა.

ირაკლი თავაძე

რუსები და „მაიმუნი“

8 თებერვალი

ფლორიდა — სენტ ლუისი 4:5

3:3 1:0 0:2

1:0 უორელი 9'08 (1); 1:1 დემიტრა 10'10 (22); 2:1 კოზლოვი 10'39 (8); 3:1 კვაშა 11'32 (9); 3:2 ტარჯონი 13'33 (17); 3:3 იეიკი 17'39 (5); 4:3 ნიდერმაიერი 22'57 (15); 4:4 მაიერსი 42'36 (1); 4:5 დემიტრა 46'43 (23)

ფლორიდას აღარ ჰყავს პაველ ბურე და კვლავ საშუალო გუნდად იქცა. მართალია, ამჯერად „პანტერები“ გვარიანად უტევდნენ (განსაკუთრებით ბურეს თვისტომნი — ვიქტორ კოზლოვი და ოლეგ კვაშა, აგრეთვე შავკანიანი, მეტსახელად „მაიმუნი“ პიტერ უორელი აქტიურობდნენ), მაგრამ დაცვაში ბევრი შეცდომა დაუშვეს და ბოლო სამ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა შერჩათ ხელთ. ამიტომაც კონფედერაციაში ადგილი ბოსტონს დაუთმეს.

ფინიქსი — სან ხოსე 0:3

0:1 0:1 0:1

0:1 რიჩი 13'32 (10); 0:2 ფრიზენი 30'47 (15); 0:3 მატო 59'12 (5)

ნჰლ-ის მატჩების შედეგთა გამოცნობა მართლაც შეუძლებელი ყოფილა. შინ საუკეთესოდ მოთამაშე ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა ფინიქსმა (+16=4-4) ისეთ გუნდთან წააგო, რომელსაც სტუმრად გამართულ მატჩებში ყველაზე უარესი შედეგი აქვს და თანაც ათთამაშიანი გასვლითი სერიის ნახევარი გაულევია. მასპინძლებს ვერც ტრავმამოშუშებული კაპიტნის, კეიტ ტკაჩუკის დაბრუნებამ უშველა. ვერც მან და ვერც მისმა პარტნიორებმა ვერაფერი მოუხერხეს მაიკ ვერნონს (მე-4 შათაუტით სან ხოსეს ახალი რეკორდი დაამყარა).

კალგარი — ედმონტონი 2:1

2:0 0:1 0:0

1:0 ჰაუსლი 11'05 (4); 2:0 ფლერი 14'28 (25); 2:1 უეიტი 20'37 (1)

შავკანიანმა ფრედ ბრეტუეიტმა (35 მოგერიება) კალგარის მწვრთნელებს მეკარეთა პრობლემა გადაავიწყა.



იაშინი თაღლითია?

შარშან ოტაველთა ლიდერმა ალექსეი იაშინმა ქველმოქმედებით გაითქვა სახელი — კანადის ხელოვნების ეროვნულ ცენტრს ერთი მილიონი დოლარი შესწირა. ეს ფაქტი ერთობ გახმაურდა და რუსი ჰოკეისტების იმიჯის შეცვლაშიც დიდი როლი ითამაშა. ისინი ხომ ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პრესასთან ურთიერთობით და არც საზოგადოებრივი აზრს დაგიდევენ დიდად. თუმც, როგორც ირკვევა, იაშინი არც ისეთი უანგარო ქველმოქმედი ყოფილა — თურმე ეს ერთი მილიონი 5 წლის განმავლობაში უნდა ეხადა ცენტრისთვის, ამ უკანასკნელს კი ყოველწლიური 200 ათასი დოლარის თითქმის ნახევარი — 85 ათასი — მისი მშობლებისთვის უნდა გადაეცა. ეს ყველაფერი კომპანია „ტატიანა ენტერთეინმენტ ინკ“-ისა და ცენტრის ძველ მესვეურთა შორის მიღწეული შეთანხმებით კეთდებოდა, მაგრამ ცენტრის ახალმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს უკანონოა და იაშინის მშობლები ამიერიდან კაპიკსაც ვერ მიიღებენ. განაწყენებულმა ჰოკეისტმა პასუხის გაცემა არ დააყოვნა. ჯერ იყო და, ცენტრს წერილობით აუწყა, პირადი მდგომარეობის გამო უახლოეს ხანში ფულის გადარიცხვას არ ვაპირებო: მერე კი პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა — ცენტრის მესვეურებს, რომლებსაც ჩემი შეწირულობის ხარჯზე რუსული ბალეტისა და ოპერის თეატრის გასტროლები უნდა მოეწყოთ, თითიც არ გაუძრევიათო. მეორეც, იაშინის თქმით, მისი მშობლებისთვის გადაცემული ფული არა პირად მიზნებს, არამედ ამ გასტროლებთან დაკავშირებულ საორგანიზაციო ხარჯებს უნდა მოხმარებოდა. ასე რომ, ჰოკეისტი ამ ფაქტში ვერანაირ უკანონობას ვერ ხედავს. „ისე დამადანაშაულეს, თავი კრიმინალად ვიგრძენი“ — განაცხადა გულნატკენმა ფორვარდმა, მაგრამ ფულის გადარიცხვაზე საბოლოოდ უარს ჯერ არ ამბობს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ იაშინის მიერ გაღებული თანხა ცენტრის 29-წლიან ისტორიაში უდიდესია.

პაველ ბურე: ერთი ნახვით შეყვარება

„რუსული რაკეტის“ დებიუტი ფლორიდაში იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ გადაწყვიტა მასთან თანამშრომლობის ვადის გაგრძელება და სულ რაღაც 22 დღის შემდეგ (!) ჰოკეისტთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. პაველ ბურე ხუთი წელი, 2004 წლამდე ითამაშებს „პანტერებთან“. ფინანსური დეტალები არ გამოქვეყნებულა, მაგრამ არაოფიციალური ცნობებით ფორვარდი ამ ხნის განმავლობაში 47 მილიონ დოლარს მიიღებს, ხოლო თუ იგი ერთ სეზონსაც დარჩება კლუბში, კიდევ 10,5 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს.

„იქნებ კარიერაც აქ დავასრულო“ — თქვა პაველ ბურემ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ და დასძინა, ასეთ ფანტასტიკურ სტარტს არც მოველოდიო.

პრეზიდენტ ბილ ტორის თქმით, პაველ ბურესთან ხელშეკრულება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა კლუბის ისტორიაში — იწყება სუპერგუნდის ჩამოყალიბება.

შეგახსენებთ, რომ 1992 წლის საუკეთესო ახალბედამ და კარიერაში სამჯერ 50 გოლზე მეტის გამტანმა ბურემ ფლორიდაში ჩატარებულ 6 თამაშში 11 (8+3) ქულა დააგროვა. იგი პარასკევს, პიტსბურგთან მატჩისას დაშავდა, თუმც იმედია, ერთ კვირაში გამოჯანმრთელდება.

სამფელ ღარიბიანი

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ტორონტო	51	30	3	18	165:149	63
ოტავა	50	28	7	15	148:110	63
ბუფალო	50	24	8	18	135:108	56
ბოსტონი	51	21	9	21	130:120	51
მონრეალი	53	20	8	25	120:139	48

ატლანტა

ფილადელფია	50	28	12	10	159:100	68
ნიუ ჯერსი	51	29	6	16	147:127	64
პიტსბურგი	48	26	7	15	151:127	59
რეინჯერსი	51	20	7	24	137:140	47
აილენდერსი	52	16	5	31	125:162	37

წყნარი ოკეანე

დალასი	48	30	8	10	141:99	68
ფინიქსი	50	27	10	13	133:103	64
ანაჰაიმი	51	20	9	22	130:125	49
სან ხოსე	51	17	12	22	114:120	46
ლოს ანჯელესი	51	19	4	28	122:137	42

სამხრეთ-აღმოსავლეთი

კაროლინა	52	23	9	20	132:129	55
ფლორიდა	51	19	13	19	129:137	51
ვაშინგტონი	50	20	4	26	127:132	44
ტამპა	51	11	4	36	102:184	26

ცენტრი

დეტროიტი	52	25	4	23	150:134	54
სენტ ლუისი	49	20	9	20	133:127	49
ნეშვილი	51	18	5	28	117:162	41
ჩიკაგო	52	14	8	30	112:164	36

ჩრდილო-დასავლეთი

კოლორადო	52	29	4	19	143:124	62
ედმონტონი	50	20	8	22	140:130	48
კალგარი	53	17	8	28	131:157	42
ვანკუვერი	51	16	7	28	128:155	39

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 75 (23+52); ლინდროსი 70 (29+41), ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 66 (33+33); კარია (ანაჰაიმი) 66 (23+43); ფორსბერგი (კოლორადო) 61 (15+46); სელიანე (ანაჰაიმი) 60 (22+38); ფლერი (კალგარი) 57 (25+32); იაშინი (ოტავა) 57 (22+35); საკიკი (კოლორადო) 56 (24+32); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 52 (29+23); ბრინდამორი (ფილადელფია) 52 (19+33); სუნდინი (ტორონტო) 52 (17+35); სტრაკა (პიტსბურგი) 51 (23+28); მოდანო (დალასი) 51 (17+34).

გოლები: ლეკლერი 33; ლინდროსი და რობიტაილი 29; ამონტე (ჩიკაგო) და ნესლუნდი (ვანკუვერი) 27; მაკიჩერნი (ოტავა) და ფლერი 25; ბონდრა (ვაშინგტონი), საკიკი და გრეისი (რეინჯერსი) 24.

პასები: იაგრი 52; ფორსბერგი 46; კარია 43; გრეცკი (რეინჯერსი) 42; ლინდროსი 41; სელიანე 38; სუნდინი და იაშინი 35; მოდანო 34

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლეკლერი და ლინდროსი +35; ჯოუნსი, ტერიენი (ორივე — ფილადელფია), შენონი (ფინიქსი) და კარპოვცევი (ტორონტო) +25; დეუარდენი (ფილადელფია) +24

დარტყმები: კარია 284; ფლერი 225; ბონდრა 208; შენაჰანი (დეტროიტი) 203; იაშინი 194; იაგრი 191; ლემიე (კოლორადო) 190

საჯარიმო წუთები: ლოსი (ფლორიდა) 168; ოჯერსი (კოლორადო) 161; ბერუბი (ვაშინგტონი) 150; რეი (ბუფალო) 148; კოტი (ნეშვილი) 147

ახალბედები: მუკალტი (ვანკუვერი) 31 (15+16); დრური (კოლორადო) 28 (11+17); მორისონი (ნიუ ჯერსი) 27 (6+21); ჰრდინა (პიტსბურგი) 25 (8+17); პერიში (ფლორიდა) 24 (15+9); ჰეიდუკი (კოლორადო) 23 (6+17); შარიფიანოვი (ნიუ ჯერსი) 22 (8+14)

მეკარეები: დარტყმების მოგერიება (%); ჰაშეკი (ბუფალო) 93,5; ტაგნატი (ოტავა) 93,3; ხაბიბულინი (ფინიქსი) 93,1; ებერი (ანაჰაიმი) 92,5; ირბე (კაროლინა) 92,4

ვინ იყიდის მილიონეგს ბურთში?



ორიოდ თვის წინ აუქციონზე 3 მილიონ დოლარად გაყიდულ კეტბურთის ბურთს პატრონი გამოუჩნდა — კანადელი ტოდ მაკფერლეინი (ფოტოზე).

ბურთი, თავადაც მიხვდებით, უბრალო არ ყოფილა — იგი 27 სექტემბერს სენტ ლუისის სტადიონზე სარეკორდო, 70-ე ჰოუმ რანად მოიგერია მარკ მაკგუაიერმა, რითაც ლიგის 37 წლის წინანდელი მიღწევა გააუმჯობესა.

უბრალო არც ტოდ მაკფერლეინი გახლავთ — იგი კომიქს **SPAWN**-ის (ქართულად დაახლოებით მუტანტად ითარგმნება) ავტორი, იგივე სახელწოდების ჰოლივუდური ფანტასტიკური ფილმის პროდიუსერი და ამერიკაში სიდიდით მეხუთე სათამაშოების მწარმოებელი ქარხნების პატრონია.

„მე კეტბურთზე შეშლილი ვარ. ამ ბურთის საყიდლად ლამის მთელი საბანკო ანგარიში დავიცარიელე“ — განუცხადა ჟურნალისტებს 37 წლის კანადელმა, ნიუ იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მაკფარლეინმა აუქციონში ტელეფონით მიიღო მონაწილეობა, რაკიღა თავისი ვინაობის გამჟღავნება მანამ არ სურდა, ვიდრე უსაფრთხოებისა და გადასახადებთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას არ მოაგვარებდა. ამასობაში კი თავის კოლექციას მაკგუაიერის პირველი, 63-ე, 67-ე, 69-ე და მისი მთავარი მეტოქის, სემი სოსას 33-ე, 61-ე და 66-ე ჰოუმ რანების ბურთებიც მიუმატა.

ახლა მაკფერლეინი, რომელიც **NHL**-ის გუნდ „ედმონტონ ოილერზის“ თანამფლობელიცაა, იმაზეღა ოცნებობს, ახალი რეკორდი კარგა ხნით ხელუხლებელი დარჩეს — „მსოფლიოში ყველაზე დიდი ნიძლავი დავდე იმაზე, რომ ამ რეკორდს უახლოეს წლებში ვერავინ გააუმჯობესებს. თუ არ გამიმართლებს, იდიოტიდან, რომელმაც სპორტულ ღირსშესანიშნაობაში 3 მილიონი დოლარი გადაიხადა, იმ იდიოტად ვიქცევი, რომელმაც 3 მილიონად 5 დოლარიანი ბურთი იყიდა“.

ძიძგი-ძიძგი ტაილანდურად

REUTERS ჩონბურიდან

ტაილანდის ქალაქი ჩონბური მამლების ჩხუბში მსოფლიოს პირველ საერთაშორისო სამოყვარულო ჩემპიონატს მასპინძლობს. ასპარეზობის ადგილი მამალთმოყვარულთ შემთხვევით არ შეურჩევიათ — ტაილანდურ მამალთა ძიძგილაობა აზიაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გასართობი ყოფილა, ხოლო ტაელი მემამლეების მიერ მოჩხუბართა ექსპორტიდან მიღებული წლიური სარფი თურმე 2,7 მილიონ დოლარამდეც აღწევს. მოკლედ, ყველა მამლური გზა ახლა ჩონბურისკენ მიდის. ამ დღეებში იქ ფრიადი ხალხმრავლობაა და ბრძოლების წინ ყოყლოჩინებსაც განსაკუთრებული სერიოზულობით სწონიან. ყველაზე გამორჩეულ მამალს ნაასპარეზევს გასამართ აუქციონზე თავისი გამზრდელისთვის ერთბაშად 100 ათასი დოლარის მოტანა შეუძლია, თავად მას კი ალბათ მსუყე დედლებთან განცხრომა და 10 კილო დარჩეული სიმინდი ერგება.



REUTERS ტოკიოდან

ბოგოლათა აღლუმი

იაპონელ სუმისტთა სადედმამიშვილომ სამშაბათს „სპორტის დღედ“ წოდებული მორიგი ტაკიმასხრული აღლუმი მოაწყო. ტოკიოს ერთ დარბაზში თავშეყრილმა ბობოლა ფალავნებმა სხვადასხვა ჯურის კოსტიუმებით გოგმანი იკადრეს, ხალხიც მაგრად ასეირეს და თავადაც კარგად გაერთნენ. ფოტოზე ეჰერეზადას შალიფ სამოსში გამოწყობილი კოტონოშიკი „გასინდბადებულ“ ჩემპიონს — სახელოვან ვაკანოჰანას აცდუნებს.

პირსისხლიან პოლ პოტის მიერ ტანჯული და დამშეული კამბოჯა თანდათან მოღონიერებულა. ყოველ შემთხვევაში, იმდენი ბრინჯი კი უშოვნია, რომ ბიჭებისთვის კულტურიზმში ვარჯიშობის საშუალება გამოეახა. კამბოჯის პირველი ჩემპიონატი კულტურიზმში ყმაწვილმა პო დინარინმა მოიგო და „მისტერ კამბოჯის“ ტიტული და თასი დაიმსახურა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29